გამოუცხადებელი ომიდან ჰიბრიდულ ომამდე: პროპაგანდა და მითოლოგია[1]

FROM THE UNDECLARED WAR TO HYBRID WAR: PROPAGANDA AND MYTHOLOGY

კონსტანტინე ლადარია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, PhD

სოსო მეზვრიშვილი
ილიას საელმწიფო უნივერსიტეტი, MA

Konstantine Ladaria
Ilia State University, PhD

Soso Mezvrishvili
Ilia State University, MA

Keywords: აგვისტოს ომი, აფხაზეთის ომი, ჰიბრიდული საფრთხე, პოლიტიკური მითი, ისტორიული დისკურსი.

აბსტრაქტი

ბოლო რამდენიმე წელია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საკითხი საქართველოს შიდა-პოლიტიკური დებატების საგნად გადაიქცა. ერთმანეთს უპირისპირდება ორი ნარატივი: ერთის მიხედვით აგვისტოს მოვლენებისას აგრესორია რუსეთი, ხოლო საქართველო – მსხვერპლი; მეორე ნარატივის მიხედვით აგრესორიცა და მსხვერპლიც საქართველოა. წინამდებარე სტატიაში უკანასკნელი ნარატივი განხილულია პოლიტიკური მითის ცნების ქვეშ, რომლის მიზანიც ჰიბრიდული ომის თეორიის თანახმად საზოგადოების წინააღმდეგობის გაწევის უნარის გატეხაა. გამოკვლეულია აღნიშნული მითის ისტორიული საფუძვლები და გავლებულია დისკურსული პარალელები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების სამხედრო ეპიზოდებს შორის მე-19 საუკუნიდან უახლესი ისტორიის ჩათვლით. ნაჩვენებია თუ როგორ ერთიანდება რუსეთის ხატში ერთდროულად დამნაშავე და უდანაშაულო, როგორ წარმოადგენს იგი მუდმივი იმედისა და იმედგაცრუების წყაროს.

1 სტატია აგებულია მოხსენებებზე, რომლებიც ავტორთა მიერ წაკითხულ იქნა „ASCN ალუმნი ქსელის“ მიერ ორგანიზებულ სადისკუსიო შეხვედრაზე „აგვისტოს ომი 10 წლის შემდეგ“.

Summary

In recent years, the issue of the 2008 Russia-Georgia war has become the subject of Georgia's internal political debate. Two narratives contrast each other: the first narrative views Russia as an aggressor in the August war, whilst Georgia – as a victim. The second narrative, on the other hand, envisages Georgia as both – the aggressor and the victim. The proposed article approaches the latter as a political myth, which aims to break the ability of resistance within the society in line with the Theory of Hybrid Warfare. Furthermore, the article analyzes the historical basis of the aforementioned myth and draws parallels between the military episodes of Georgian-Russian relations from the 19th century to recent history. Lastly, the article shows how the image of Russia unites the guilty and the innocent and how it represents a source of constant hope and frustration.

შესავალი

ჰიბრიდული სტრატეგია ბრძოლის ინოვაციური მეთოდების გამოყენებას გულისხმობს, რომლის დროსაც სამიზნეში ამოღებულია მოწინააღმდეგის პოლიტიკური, გეოგრაფიული, ეკონომიკური, ინფორმაციული, სამეცნიერო, სოციალური ან სამხედრო ობიექტები და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ გაშუალებული კავშირი აქვს აგრესიის საბოლოო მიზანთან (Cilluffo and Clark 2012, 49). მისი შინაარსი, შესაბამისად, განპირობებულია იმითი თუ რას წარმოადგენენ, ერთი მხრივ, აგრესორი და, მეორე მხრივ, მსხვერპლი, ანუ ის, თუ რა არის მათ შორის არსებულ ურთიერთობათა კონტექსტი. რუსეთისა და საქართველოს შემთხვევაში მათ შორის მეტროპოლია-პერიფერიის მოდელზე აგებულ ურთიერთობათა თითქმის ორ საუკუნოვანი ტრადიცია საკმაოდ დიდ რესურსს აძლევს რუსეთს არაპირდაპირი საფრთხეებისა და გავლენების შესაქმნელად საქართველოს წინააღმდეგ, რაც მრავალჯერ დადასტურდა ბოლო ათწლეულების მანძილზე. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა ამ უკანასკნელის გეოპოლიტიკური ინტერესებით და რევიზიონისტული პოლიტიკითაა განპირობებული, რომლის მიზანიც საქართველოს საკუთარ გავლენის სფეროში შენარჩუნებაა. ამ ამოცანის განსახორციელებლად გამოყენებული მეთოდები კი კონვენციური ომის ფარგლებს მნიშვნელოვნად სცილდება.

წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება რუსული სამხედრო სტრატეგიის განვითარების მიმართულებები, რომელთა ერთობლიობაც დასავლეთში „ჰიბრიდულ ომად", რუსეთში კი „ახალი თაობის ომად" მოიხსენიება. ეს ტერმინი აქტუალური ხდება 2014 წლიდან უკრაინაში მიმდინარე პროცესების ფონზე. თუმცა, ამასთან ერთად, საქართველოში უკვე 1991 წლიდან მიმდინარეობს რუსული ფარული ომის შესწავლა. ქართული პრესის ანალიზის საფუძველზე, რომელშიც აქტიურად გამოიყენება „გამოუცხადებელი ომის" ცნება, ასახულია საქართველოში რუსული ჰიბრიდული სტრატეგიის პერიოდული გამოვლინებები. მათ ფონზეც უკრაინაში მიმდინარე მოვლენები მხოლოდ მასშტაბების თვალსაზრისით განსხვავდება იმისგან, რაც რუსულ-ქართულ ურთიერთობებში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მიმდინარეობს.

რუსულ სამხედრო სტრატეგიაზე საუბრისას ყურადღება იქნება გამახვილებული ე. წ. „ნარატივების ომზე", რომელიც ყველა ომის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად შეიძლება

იქნეს განხილული (Mansoor 2012, 9). მისი წარმატება განსაზღვრავს იმას, თუ „დაპირისპირებული მხარეებიდან ვინ შეძლებს მორალური უპირატესობის მოპოვებასა და ხალხის საკუთარ მიზანთა სამართლიანობაში დარწმუნებას“ (ibid.). რუსულ და დასავლურ ლიტერატურაში ჰიბრიდული ომის ზემოაღნიშნული განზომილება „ინფორმაციული ომის“ ცნების ქვეშ განიხილება, შესაბამისად დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად ჩვენც ამ ტერმინს გამოვიყენებთ, თუმცა გარკვეულ ეპიზოდებში ტერმინ ნარატივსაც დავუბრუნდებით ხოლმე. ტერმინი „ინფორმაციული ომი“ ხაზს უსვამს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების, იგივე მასმედიის – ინტერნეტისა და რადიო მაუწყებლობის – განვითარების მაღალ დონეს, რითაც შესაძლებელი ხდება დაპირისპირებაში მოსახლეობებისა და საერთაშორისო საზოგადოების ჩართვა (ibid.). აუდიტორიის კარგად ცოდნამ კი მნიშვნელოვანი, ან შეიძლება გადამწყვეტი გავლენაც კი იქონიოს ომის საბოლოო შედეგზე (McCuen 2008).

2008 წლის აგვისტოს ომის რუსულ ნარატივში ქართული საზოგადოების გახლეჩილი სურათია მოცემული – იგი ერთდროულად დამნაშავედ და მსხვერპლადაა წარმოჩენილი. აღნიშნული ნარატივი განხილული იქნება „პოლიტიკური მითის“ ცნების ქვეშ, რომლის მიზანიც ამ წარმოსახვითი გახლეჩილობის სინამდვილეში გადმოტანაა.

„ჰიბრიდული ომის“ ცნების წარმოშობა

ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ პირველად ჩნდება მაიორ უილიამ ჯ. ნემეთის 2002 წლის ნაშრომში *Future War and Chechnya: A Case of Hybrid Warfare* (Nemeth). მაიორ ნემეთის აზრით, ჩეჩნეთის ჰიბრიდული საზოგადოება (ტრადიციული და თანამედროვე სტრუქტურების ნაზავი) ჰიბრიდულ წინააღმდეგობას უწევდა რუსულ აგრესიას, რაც არაკონვენციური ტაქტიკებისა და თანამედროვე საინფორმაციო საშუალებების შერწყმას გულისხმობდა.

„ნატოს“ ლექსიკონში ტერმინი „ჰიბრიდული საფრთხე“ 2010 წელს ჩნდება და მოწინააღმდეგის მიერ კონვენციურ და არა-კონვენციურ საფრთხეთა შექმნის უნარის მნიშვნელობით გამოიყენება (NATO 2010). მოგვიანებით კი, რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების კონტექსტში, „ჰიბრიდული ომის“ ცნების განახლება, ახალი მონაცემებით შევსება ხდება საჭირო. ნატოს საინფორმაციო ვიდეოში დასმულია კითხვა იმაზე თუ როგორ უნდა უპასუხოს სახელმწიფომ აგრესიას, რომელიც საგანგებო შენაერთების, საინფორმაციო კამპანიებითა და უმცირესობათა წარმომადგენლობათა ნაზავით, ანუ ჰიბრიდული გზით ხორციელდება (NATO Review 2014). აღნიშნული საინფორმაციო ვიდეო სწორედ უკრაინა-რუსეთის 2014 წელს დაწყებულ კონფლიქტს განიხილავს, რომლის შემდეგაც ტერმინი „ჰიბრიდული ომის“ ვალიდურობა ეჭვს აღარ იწვევს.

უახლესი ლიტერატურა ჰიბრიდული ომის შესახებ გვერდს ვერ უვლის უკრაინაში მიმდინარე რუსული აგრესიის ანალიზს. იგი ხაზს უსვამს უკრაინის კონფლიქტამდე შექმნილ თეორიათა და კონცეპტთა ანალიტიკურ ღირებულებას, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომსაც უკავია. ევგენი დიკი ავითარებს რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებული ჰიბრიდული ომის თეორიას, რომლის „საკვანძო მახასიათებელი ორი, ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი ფაქტორის ერთობლიობაა: რუსეთის ფედერაციის მიერ საბრძოლო მოქმედებების წარმოება და საჯაროდ მისი ომში

ჩართულობის კატეგორიული უარყოფა“ (Дикий 2016, 12). ევგენი დიკი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ რუსეთის მიერ ჰიბრიდული ომის მეთოდების მნიშვნელოვანი ნაწილი დამუშავებულ იქნა სწორედ საქართველოში შეჭრის მოსამზადებლად (იგულისხმება 2008 წლის აგვისტოს მოვლენები) (ibid., 10). თუმცა ჰიბრიდული მეთოდებით ბრძოლას საფუძველი ეყრება 90-იანი წლებიდან ცივი ომის პერიოდის ფარული ომის მეთოდების პოსტ-საბჭოთა სივრცეზე გადატანით.

ცივი ომის პერიოდში პოლუსის მხარეები მსოფლიოს გარშემო შექმნილ შიდა სახელმწიფოებრივ კონფლიქტებში ღიად, ან ფარულად ერეოდნენ და ცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ მათთვის სასურველ შედეგებზე (მაგ.: ანგოლა, ვიეტნამი, ეთიოპიაა, მოზამბიკი და სხვ.). რუსეთის მიერ უკვე პოსტ-საბჭოთა სივრცეზე მსგავსი სტრატეგიის გამოყენების მაგალითებად შეიძლება მივიჩნიოთ სომხეთ-აზერბაიჯანის ომი (1992-1994) და ტაჯიკეთის სამოქალაქო ომი (1992-1997). ეს კონფლიქტები შეიძლება სრულად იქნეს აღწერილი „დამოუკიდებლად წარმოშობილ კონფლიქტში გარე ჩარევის“ მოდელით. მაგრამ განსხვავება ცივი ომის პერიოდის ფარული ომის მეთოდებსა და პოსტ-საბჭოთა ჰიბრიდულ ომს შორის ისაა, რომ ამ უკანასკნელის დროს თავად შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი მნიშვნელოვან წილად ინსპირირებულია გარე ფარული ჩარევით, რისი ადრეული მაგალითებიც არის კონფლიქტი დნესტრისპირეთში (1992), აფხაზეთის ომი (1992-1993) და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი (1991-1992). სწორედ ამ კონფლიქტების დროს იქნა შემუშავებული რუსული სამხედრო ყოფნის საერთაშორისო ლეგიტიმაციის მეთოდები, რომლებიც თავდაპირველად არაოფიციალურად, განმასხვავებელ ნიშანთა გარეშე მონაწილეობენ კონფლიქტში, წარმატების შემთხვევაში კი მშვიდობისმყოფელთა სტატუსით რჩებიან ტერიტორიაზე (ibid., 13).

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის კიდევ ერთი მკვლევარი, ევგენი მაგდა, ასევე მიიჩნევს, რომ ჰიბრიდული ომი არის ომი, რომელსაც აწარმოებენ გამოცხადების გარეშე (Магда 2015, 10) და რომ მსგავსი მიდგომა განპირობებული იქნა აგრესორი სახელმწიფოებისათვის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაპროგრამებული შეზღუდვებით. მაგალითებად ავტორს მოჰყავს გერმანიისა და იაპონიის მიერ წარმომადგენლობის არ ქონა გაეროს უსაფრთხოების კომიტეტში და ამავე ქვეყნებში დანაშაულის განცდის პერიოდული რეციდივები (ibid., 13-14). მაგდა მიიჩნევს, რომ საქართველოსა და ყირგიზეთის ფერადმა რევოლუციებმა და განსაკუთრებით უკრაინის ნარინჯისფერმა რევოლუციამ რუსეთი აიძულა პოსტ-საბჭოთა სივრცეზე გავლენის შენარჩუნების ახალი გზები შეემუშავებინა. 2008 წლის აგვისტოს ომი კი ამ მეთოდების შემოწმება-მოსინჯვის მცდელობად გამოიყურება, რომლის შედეგადაც საქართველოს ორი რეგიონი მარიონეტულ რესპუბლიკებად გადაიქცა (ibid., 32).

მიუხედავად იმისა, რომ თავად ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ ახალია და მხოლოდ 2014 წლიდან იკავებს ადგილს რუსეთის სამხედრო აგრესიის აღმნიშვნელ სახელად, აკადემიურ სივრცეში აქტიურად მიმდინარეობს კამათი იმის შესახებ თუ რამდენად ახალია ჰიბრიდულობის ფენომენი მსოფლიო სამხედრო ისტორიაში ზოგადად და რუსულ სამხედრო სტრატეგიაში კერძოდ. როგორც ქვემოთ გამოჩნდება თავად რუსი ავტორები თანამედროვე სამხედრო სტრატეგიების შემუშავებისას ისეთი ტერმინების გამოყენებას ამჯობინებენ, რომლებიც წარსულისა და მომავლის ომებს შორის თვისობრივი განსხვავების არსებობას უსვამს ხაზს. თუმცა, დასავლელი ავტორები ძირითადად თანხმდებიან, რომ არც ასიმეტ-

რიული სამხედრო სტრატეგიების გამოყენება არის რაიმე სიახლე მსოფლიო სამხედრო ისტორიაში (Mansoor 2012; Charap 2015) და არც უკრაინასთან და სხვა მეზობლებთან დაპირისპირებაში ავლენს რუსეთი რაიმე ნოვატორობას, არამედ იყენებს მეთოდებს, რომლებიც ცივი ომის ან კიდევ უფრო ადრინდელ პერიოდებში აქვს დამუშავებული (Giles 2016).

გამომდინარე ზემოთქმულიდან აკადემიური კვლევისათვის ტერმინ „ჰიბრიდული ომის" ანალიტიკური ღირებულება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ეს საკითხი განხილულია კრებულში "A Civil-Military Response to Hybrid Threats" (Cusumano and Corbe 2018). კრებულში წარმოდგენილი ავტორები ყურადღებას ამახვილებენ „ჰიბრიდული ომის" ორ დამახასიათებელ თვისებაზე: ორაზროვნებასა (ambiguity) და უარყოფადობაზე (deniability). პირველი გულისხმობს საერთაშორისო სამართლის ნორმების საკუთარი უკანონო სამხედრო მიზნებისათვის და მსხვერპლის კანონმორჩილების მისსავე საწინააღმდეგოდ გამოყენებას (ibid., Rinelli and Duyvesteyn 2018). ხოლო უარყოფადობაში იგულისხმება აგრესორი მხარის მიერ უკანონო სამხედრო მოქმედებებში საკუთარი ჩართულობის ჯიუტი უარყოფა (ibid., Bachmann and Munoz Mosquera 2018). აღნიშნული მახასიათებლები განაპირობებს იმას, რომ ჰიბრიდული ომის ფარგლებში განხორციელებულ სამხედრო მოქმედებებს თან სდევს სამართლებრივი ქმედებები და საინფორმაციო კამპანიები (სწორედ ამ უკანასკნელზე გავამახვილებთ ყურადღებას მომდევნო თავებში რუსულ ჰიბრიდულ სტრატეგიაზე საუბრისას). ტერმინ „ჰიბრიდული ომის" ღირებულებაზე ავტორები მიიჩნევენ, რომ მისი ცნობადობა მედია და სამხედრო სფეროებში არც აკადემიკოსების მიერ უნდა იყოს უგულებელყოფილი, არამედ გამოყენებულ იქნეს თანამედროვე გამოწვევების მიმართ ცნობიერების ამაღლებისა და „სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის გაძლიერების ინსტრუმენტად" (ibid., 7).

„გამოუცხადებელი ომი"

ტერმინი „გამოუცხადებელი ომი" ადრეული 90-იანი წლებიდან გამოიყენება ქართული მხარის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებში რუსეთის განზრახ ბუნდოვანი პოზიციის აღსანიშნად, რომლის გამოც წლების მანძილზე ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა რუსეთის რეალური სტატუსის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრა. სწორედ შეიარაღებულ კონფლიქტში დაინტერესებულ მხარედ ყოფნის უარყოფა და საკუთარი მონაწილეობის სამშვიდობო მისიით შენიღბვა ხდის რუსულ ჰიბრიდულ სტრატეგიას ომის წარმოების მეთოდად, რომელშიც ომი და მშვიდობა ურთიერთ-აღრეულია.

ნატოს გენერალური მდივნის იენ სტოლტენბერგის თქმით „...ჰიბრიდულ ომში ახალი არაფერია. იგი ტროას ცხენივით ძველია" (Stoltenberg 2015). თუმცა, მართალია, ტროას ცხენი გენიალური ტაქტიკური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მსგავსი ანალოგია ზუსტი არ არის, რადგან ტროას ომის დროს, ლეგენდის თანახმად, მტრობა აქაველებსა და ტროელებს შორის ღიად იყო გაცხადებული და თითოეულმა ტროელმა კარგად იცოდა, რომ მათი ქალაქის კედლებთან შეგროვებული შეიარაღებული ხალხი აქაველების მტრულად განწყობილი ჯარი იყო. მსგავს ანალოგიას ჰიბრიდული ომი ისეთ არაკონვენციურ მეთოდებზე დაჰყავს, როგორიცაა, მაგალითად, ჰაკერული თავდასხმები და უგულებელყოფს მის საინფორმაციო და საკანონმდებლო მხარეს. ტერმინ „გამოუცხადებელ ომში," იმის მი-

ხედვით თუ როგორ გამოიყენებოდა იგი ქართული პრესის ზემოთმოცემულ მიმოხილვაში, ორივე ეს ელემენტი ინტეგრირებულია.

1992-93 წლების აფხაზეთის ომის საწყის ეტაპზე რუსეთის ფედერაციის ოფიციალური განცხადებებისა და რუსი სამხედროების შეუსაბამო მოქმედებები ერთგვარ გაურკვევლობას ქმნის საქართველოს პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობაში, რაც ნათლად იკითხება ამ პერიოდის საპარლამენტო დებატების ჩანაწერებში. პირველი, ვინც მიმდინარე ფარული სამხედრო მოქმედებების ადეკვატური შეფასება გააკეთა, თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი იყო, რომელმაც განაცხადა: „რუსეთმა გამოგვიცხადა გამოუცხადებელი ომი."[2] მსგავსი შეფასების საშუალებას იძლეოდა ერთმანეთის მსგავსი რუსული და აფხაზური დეზინფორმაციული აქტივობები, რომელთა მიზანიც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ (განურჩევლად ეროვნული კუთვნილებისა) განხორციელებული ძალადობის ქართულ მხარეზე გადაბრალება იყო; ამასთან ერთად გაურკვევლობას წარმოშობდა რუსული საჯარისო ნაწილების გააქტიურება, რაც მიმდინარე რუსულ-ქართული მოლაპარაკებების ფონზე „აბსურდად ჩანს."[3]

სწორედ ამ პერიოდიდან დგება ქართული საზოგადოება რუსული შენიღბული აგრესიის პირისპირ, რომლის რეფლექსიაც, ანალოგიების არარსებობითაა გართულებული. აღნიშნული პრობლემა აშკარა ხდება პრესის მიმოხილვისას, რომელშიც, ერთი მხრივ, მოვლენათა საღი შეფასებები გვხვდება, რაც ათწლეულების შემდგომ განვითარებული უკრაინის კრიზისის ანალოგიური მოვლენებით დასტურდება. თუმცა, მეორე მხრივ, მოვლენები რეგიონული თვალსაზრისით ვაკუუმშია განხილული პარალელების მოშველიების გარეშე, რაც რუსული პოლიტიკის კონცეპტუალიზებას ართულებს და ბუნდოვანს ტოვებს ქართული ბრალდებების დამაჯერებლობას.

საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ოპოზიცია არსებული ვითარების სიმძიმეს კიტოვანის განცხადებიდან მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ აცნობიერებს. 1993 წლის 16 მარტის საპარლამენტო სხდომაზე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე პარლამენტარებსა და მთლიანად საზოგადოებას ამცნობს, რომ მიმდინარე მოვლენები გაგებულ უნდა იქნას „რუსეთ-საქართველოს ომად."[4] შევარდნაძე ყურადღებას ამახვილებს სეპარატისტების მიერ გამოყენებულ შეიარაღებაზე, რომელიც მხოლოდ რუსეთიდან შეიძლება შემოსულიყო და საუბრობს ქართულ და უცხოურ სადაზვერვო სამსახურების ინფორმაციაზე, რომელიც ნათელყოფს, რომ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები „არის სერიოზულად დაგეგმილი და ჩაფიქრებული სამხედრო აქცია"[5] და რომ „ყველაფერი იგეგმება რუსი სპეციალისტების მიერ."[6]

შევარდნაძე ერთგვარ უკანდასახევ გზას იტოვებს და არბილებს თავის განცხადებას იმის დამატებით, რომ მან არ იცის რამდენად არის რუსეთის პრეზიდენტი საქმის კურსში, „მაგრამ, თუ არ არის საქმის კურსში ეს კიდევ უფრო ართულებს საქმის ვითარებას."[7] ეს დეტალი აჩვენებს შექმნილ ვითარებაში გარკვევის, მისი ინტერპრეტირებისა და აზრის

2 *რეზონანსი*. 1992. 8 დეკემბერი, N14

3 *იქვე*

4 *სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში* 1993, 1

5 *იქვე*

6 *იქვე,* 2

7 *იქვე*

გამოტანის სირთულეს. ამასთან ერთად რუსეთის აგრესიული როლის აღიარების ოთხი თვით დაგვიანება ერთგვარ ყოყმანზე მიუთითებს ხელმძღვანელობის მხრიდან თვალი გაუსწორონ სიტუაციის სიმძიმეს. სავარაუდოდ საქმე გვაქვს იმის ერთგვარ „ვერ დაჯერებასთან", რომ რუსეთი მზად არის მსგავსი აგრესია განახორციელოს საქართველოს წინააღმდეგ. „ვერ დაჯერების" ფენომენის შემოტანის საფუძველს კი რუსეთის მიერ საქართველოს შემდგომი ოკუპაციის კონტექსტში განვითარებული მოვლენები იძლევა, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

90-იანი წლებიდან ტერმინი „გამოუცხადებელი ომი" პერიოდულად გვხვდება ქართულ მედია სივრცეში. მცირე შემთხვევებში ეს ტერმინი მეტაფორული მნიშვნელობით სხვადასხვა კონფლიქტური სიტუაციების აღწერის ფუნქციას ასრულებს, თუმცა უფრო ხშირად იგი რუსეთის სამხედრო სტრატეგიის დახასიათებისათვის გამოიყენება და დროთა განმავლობაში კონცეპტუალურ მნიშვნელობას იძენს.

ასე მაგალითად, რამდენიმე დღეში შევარდნაძის ზემოგანხილული განცხადებიდან, რომელშიც იგი აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს რუსეთ-საქართველოს ომად მოიხსენიებს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" ქვეყნდება სტატია სათაურით „გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ."[8] სტატია მიმოიხილავს აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო პროცესებს, თუმცა ომის ბუნება და ხასიათი განხილული არ არის და ტერმინი გამოუცხადებელი მხოლოდ ემოციური დატვირთვის მატარებელია, რომელმაც მკითხველი მტრის ვერაგობაში უნდა დაარწმუნოს. ამავე ნომერში იბეჭდება ინტერვიუები და მიმართვები, რომლებშიც ტერმინ „გამოუცხადებელს" უფრო კონკრეტული მნიშვნელობა ეძლევა. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის რუსეთის ფედერაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვაში აღწერილია მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები, რომელშიც „აფხაზ სეპარატისტებს ამოფარებული რუსეთის შეიარაღებული ძალები ... ასრულებენ გადამწყვეტ როლს" და ეს პროცესები საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ რუსეთის „გამოუცხადებელ ომადაა"[9] შეფასებული. მიმართვაში ასევე ნათქვამია, რომ ქართული მხარე აქამდე თავს იკავებდა პროცესებისათვის ოფიციალურად მიეცა ადეკვატური შეფასება, რადგან ამით ხელი არ შეშლოდა სამშვიდობო მოლაპარაკებებს, თუმცა ამიერიდან საქართველოს პარლამენტი თვლის, „რომ დადგა დრო საგნებსა და მოვლენებს თავისი სახელი დაერქვას და აცხადებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის... მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა."[10] ამავე ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება და ინტერვიუ თენგიზ კიტოვანთან სადაც რუსეთის შესაბამისი ძალოვანი უწყებებისა და თანამდებობის პირების განცხადებები და მუქარები ქართული მხარის მიმართ შეფასებულია როგორც სიცრუე, პროვოკაცია და ცინიზმი.[11]

1995 წლის იანვარში იბეჭდება ქართული ეროვნული საბჭოს გაზეთის „მებრძოლი საქართველოს" ნომერი, რომელშიც ექვსი რუბრიკიდან ორი (ჯამში თერთმეტი სტატია) აფხაზეთის დაკარგვის წლისთავს ეძღვნება. კარლო ინასარიძის ავტორობით იბეჭდება სტატია სათაურით „რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელი ომი," სადაც ავტორი რუსულ

8 საქართველოს რესპუბლიკა, 1993 წლის 16 მარტი, #56

9 *იქვე, 1*

10 *იქვე*

11 *იქვე*

მხარეს შოვინისტ-იმპერიალისტებად მოიხსენიებს, ხოლო რუსეთ-საქართველოს ომის „აფხაზ-ქართველთა კონფლიქტად“ მონათვლაში ავტორი ბრალს იტარ-ტასის[12] საინფორმაციო სააგენტოს დებს ბრალს. სტატიაში ასევე საუბარია აფხაზეთის ომის სამ ინტერპრეტაციაზე, რომ ეს იყო 1) ეროვნებათშორისი კონფლიქტი, 2) პოლიტიკური კონფლიქტი და 3) საქართველოს სახელმწიფოს შეჭრა აფხაზეთის სახელმწიფოში. ავტორი სამივე ამ ვერსიას სიცრუედ მოიხსენიებს და მათ გავრცელებაში ბრალს ისევ იტარ-ტასის სააგენტოს სდებს. კარლო ინასარიძე ომის დაწყების თარიღად 1989 წლის 9 აპრილს ასახელებს და აფხაზი და ოსი სეპარატისტების ჩართულობის მიუხედავად მიიჩნევს, რომ ომი არსებითად რუსეთსა და საქართველოს შორის მიმდინარეობს.[13]

„მებრძოლი საქართველოს“ ამავე ნომერში ქვეყნდება საქართველოს ეროვნული საბჭოს მიმართვა ამერიკის პრეზიდენტ ბატონ ბილ კლინტონისადმი. მიმართვაში საუბარია 300 ათასი ქართველი დევნილის დაბრუნების აუცილებლობაზე აფხაზეთსა და შიდა ქართლში და ამის ხელისშემშლელ მთავარ სირთულედ რუსეთის შეიარაღებული ძალებია მოხსენიებული: „რომელიც „ახლა გაეროს „ცისფერქუდიანი“ სამშვიდობო მისიით განლაგებულია მდინარე ენგურის სანაპიროებზე და ათასობით ქართველ ლტოლვილებს გზას უღობავს რომ არ დაბრუნდნენ თავიანთ მიწა-წყალზე.“[14]

1998 წლის მაისში აფხაზეთში, გალის რაიონში აფხაზ ჯარისკაცებსა და ქართულ პარტიზანულ დაჯგუფებებს შორის მომხდარი სამხედრო დაპირისპირება საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას იქცევს. ევროკავშირი აქვეყნებს განცხადებას, სადაც მწუხარებაა გამოთქმული მომხდარი ინციდენტის გამო და ევროკავშირის მაშინდელი კომისარი საგარეო ურთიერთობების საკითხებში ჰანს ვან დენ ბროკი საქართველოს სტუმრობს. ვიზიტს პარლამენტის პრესსამსახურის მცირე ცნობა ეთმობა გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” სათაურით “პარლამენტის თავმჯდომარე: გამოუცხადებელი ომი – პროვოკაციის გაგრძელება.”[15] სტატიაში ვან დენ ბროკის სტუმრობის შეფასებასთან ერთად მოცემულია პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ქართულ-რუსული ურთიერთობების შეფასება, სადაც ნათქვამია, რომ აფხაზეთში განვითარებული მოვლენები რუსეთში უკანასკნელ დროს გააქტიურებული რევანშისტული ძლების მოქმედებათა შედეგია, რომლებიც ვერ “ეგუებიან დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობას და კვლავ იმპერიული სულისკვეთებით არიან გამსჭვალული.”[16] ჟვანიას შეფასებით საქართველოს წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომი წარმოებს და გალში მომხდარი ინციდენტი საქართველოში დესტაბილიზაციის განხორციელების კიდევ ერთი მცდელობის მაგალითია, რომლებშიც რუსული სამშვიდობო ძალები მკვეთრად ნეგატიურ როლს ასრულებენ.[17]

2000 წლის დეკემბერში გაზეთ რეზონანსში ქვეყნდება სტატია, რომელშიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ისევ გამოუცხადებელი ომის გაგრძელებადაა

12 ИТАР-ТАСС (რუს.), ITAR-TASS (ინგ.) – რუსეთის პრეზიდენტის 1992 წლის იანვრის დადგენილებით შექმნილი "რუსეთის საინფორმაციო-სატელეგრაფო სააგენტო". იურიდიულ-ორგანიზაციული სტატუსით წარმოადგენს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ კორპორაციას.

13 მებრძოლი საქართველო, 1995 წლის იანვარი, #15, 4-6

14 *იქვე, 7*

15 საქართველოს რესპუბლიკა, 1998 წლის 4 ივნისი, #136

16 *იქვე, 2*

17 *იქვე*

დასათაურებული.[18] თუმცა, ამჯერად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არა იმდენად საბრძოლო მოქმედებებს, არამედ რუსეთის სავიზო პოლიტიკას, რომელიც საზღვრისპირა რეგიონებში გამარტივებულ ფორმას ატარებს, მაგრამ ეთნიკურად ქართველებისათვის რუსული ვიზის მოსაპოვებლად ხელოვნური ბარიერები იქმნება და რუსეთის საკონსულოში ზედმეტი გადასახადების დაწესება ხდება. სტატიაში ასევე საუბარია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადების აბსურდულობაზე, რომელშიც ქართული მხარის ჩეჩენ ტერორისტებთან კავშირში დადანაშაულება ხდება. ავტორის შეფასებით „რუსეთის ოფიციალური პირები დღეს უკვე აღარ მალავენ სურვილს, როგორმე ჩაითრიონ საქართველო რუსეთ-ჩეჩნეთის საომარ მოქმედებებში, რაც თავისთავად უკვე საერთო კავკასიური ომის დაწყების საწინდარი გახდება."[19] სტატიაში ქართული მხარის მიერ რუსეთისათვის წინააღმდეგობის გაწევის ერთადერთ ინსტრუმენტად ავტორი, ოფიციალურ პირთა განცხადებებზე დაყრდნობით, „საერთაშორისო ინსტიტუტებში საჩივრის შეტანის მუქარას" ასახელებს.[20]

ტერმინი „გამოუცხადებელი ომი" 2004 წლის ცხინვალის მოვლენების დროსაც აქტუალური ხდება. გაზეთ „24 საათის" 13 აგვისტოს გამოცემაში (# 191) იბეჭდება აღნიშნულ მოვლენათა გარშემო საინფორმაციო და ანალიტიკურ სტატიათა ბლოკი საერთო სათაურის ქვეშ „ნერვების გამოცდა: გამოუცხადებელი ომი, რომლისკენაც ასე ისწრაფვიან სეპარატისტები და მათი რუსი მფარველები და რომელიც ასე არ უნდა საქართველოს". ერთ-ერთ სტატიაში, სადაც მიმოხილულია ცხინვალის მოვლენებზე რუსული და დასავლური პრესის გამოხმაურება, ავტორი ნინო გომართელი რუსული პრესის დამოკიდებულებას ახასიათებს როგორც სუბიექტურს, ტენდენციურსა და ცინიკურს, ხოლო ამერიკული პრესის მიმოხილვისას ხაზს უსვამს ვაშინგტონის მხარდაჭერას საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ. რუბრიკაში ასევე მოცემულია მაშინდელი ხელისუფლების ხედვა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რაც მოიცავდა რუსული და ოსური ძალების მიერ ლიახვის ხეობის ქართული სოფლების ეთნიკურ წმენდის განხორციელების მცდელობას, საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვასა და კონტრაბანდის აღდგენით საქართველოს ეკონომიკისათვის ძირის გამოთხრას. რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ უმთავრეს იარაღად ამჯერადაც საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება, სადამკვირვებლო მისიების გაზრდა და რეგიონის დემილიტარიზაცია სახელდება. რუბრიკაში ასევე მოცემულია ოპოზიციის წარმომადგენელთა შეხედულებები, რომლებიც თანხმობაში არიან ხელისუფლებასთან, რომ „რუსეთი არის კონფლიქტის მონაწილე მხარე"... და რომ „სამშვიდობოების გაყვანას ალტერნატივა არ აქვს".

ქართული პრესის ზემოთმოცემული მიმოხილვა ადასტურებს, რომ ტერმინი „გამოუცხადებელი ომი" 2008 წლამდე უკვე გამოიყენებოდა „ჰიბრიდული ომის" ყველა იმ მნიშვნელობით, რომელიც მან 2014 წლიდან, ანუ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომ შეიძინა, კერძოდ:

1) რუს სამხედროთა ფარული მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში;
2) რუსული პოლიტიკის შენიღბვა მარიონეტული რეჟიმების მოთხოვნებით;

18 რეზონანსი, 2000 წელი, # 343, 3

19 *იქვე*

20 *იქვე*

3) პასპორტიზაცია, როგორც რუსული პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტი;
4) ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც იარაღი;
5) რუს სამხედროთა სამშვიდობო სტატუსის აბსურდულობა და
6) საინფორმაციო ომი, როგორც ლეგიტიმაციის ინსტრუმენტი.

ტერმინი „გამოუცხადებელი ომი" აქტუალურობას აგვისტოს ომის კონტექსტშიც ინარჩუნებს. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიული პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში პირველად გამოვლინდა შეუნიღბავად, არა-სამხედრო, ინფორმაციული კომპონენტი ასევე აქტიურად გამოიყენებოდა პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტად ომამდეც და ომის შემდეგაც. უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ ომის პერიოდში ქართული მხარის მიერ წარმოებული საინფორმაციო პოლიტიკა საერთაშორისო მხარდაჭერის მოზიდვის თვალსაზრისით უფრო წარმატებული იყო (Giles 2016, 28). თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში რუსული საინფორმაციო პოლიტიკა უფრო მეთოდური და ხანგრძლივი გამოდგა, სხვა მიზეზთა შორის იმის ხარჯზეც, რომ „ქართული აგრესიული ნაციონალიზმის" დიდი ხნით ადრე შექმნილ ნარატივს ეფუძნებოდა.

დებატები აგვისტოს ომის გარშემო მუდამ მიმდინარეობდა ბრალდება/თავის მართლების ფორმატში (Globe 2009). თავდაპირველად ბრალმდებლის როლში გვევლინებოდა რუსული მხარე, რომელიც საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევაში, საომარი მოქმედებების წამოწყებასა და ძალის გადამეტებაში ადანაშაულებდა. 2012 წლიდან მოყოლებული ეს დებატები საქართველოს შიდა პოლიტიკური პროცესების ნაწილიც ხდება, სადაც ბრალმდებლის როლში ქართული ოცნების ხელისუფლება გვევლინება. ეს უკანასკნელი თავის წინამორბედს სდებს ბრალს იმაში, რომ პროვოკაციაზე წამოეგო და ქვეყანა რუსეთთან უიმედო სამხედრო დაპირისპირებაში ჩაითრია.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში აგვისტოს ომი პოლიტიკური დებატების ერთ-ერთ ძირითად საგნად იქცა. თუმცა ინფორმაციულობის თვალსაზრისით ეს დებატები ნულოვან ღირებულებას ატარებდა, რადგან აგებული იყო არა ფაქტების წარმოჩენასა და მათზე დაყრდნობით მოვლენათა გარკვეული ვერსიის რეპრეზენტაციაზე, არამედ მზა, სტერეოტიპულ შეხედულებათა და შეფასებათა უწყვეტ გამეორებაზე. ამგვარი რიტორიკა მიზნად ისახავს მეტოქისათვის საუბრის მორალური უფლების ჩამორთმევას და არა პუბლიკის საკუთარი შეხედულებების უპირატესობაში დარწმუნებას.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქართული მხარის მიერვე დადანაშაულების პარადოქსულმა მდგომარეობამ და, ამასთან ერთად, 2012 წელს ძალაუფლების გადანაცვლებამ ახალი ხელისუფლების ხელში, რომელიც რუსეთთან ახალი „პრაგმატული პოლიტიკის" გატარებას აანონსებდა, იმედები არ გაამართლა და რუსეთთან ურთიერთობების დალაგების საქმე წინ ვერ წაწია. ეს მალევე გამოაშკარავდა ე. წ. „მცოცავი ოკუპაციის" პოლიტიკით, რომლის ტემპებიც 2013 წლიდან განსაკუთრებით დაჩქარდა (ელბაქიძე 2017). კოალიცია „ქართული ოცნების" მაშინდელი ლიდერის პრემიერ ბიძინა ივანიშვილის შეფასებით მსგავსი ქმედებები ლოგიკას არ ექვემდებარება. ის ვერ იჯერებდა, რომ „რუსეთის სტრატეგია არის მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების დაპყრობა და ოკუპაცია" (ტაბუცა 2013). მსგავსი ვერ დაჯერება, ისევე როგორც აფხაზეთის ომის დროს ქართული მხარის ხანგრძლივი ჭოჭმანი მიგვითითებს ერთგვარ იმედგაცრუებაზე, რომელიც რუსეთთან საერთო ენის გამოძებნის ცრუ იმედებით არის გამოწვეული.

ომის ინფორმაციული კომპონენტი რუსულ წყაროებში

თანამედროვე რუსულ სამხედრო ლიტერატურაში მომავლის სამხედრო მოქმედებები განიხილება ისეთი ცნებების ქვეშ როგორიცაა „უკონტაქტო ომი", „მეექვსე თაობის ომი", „ახალი თაობის ომი" და ა.შ. მათი მიმოხილვისას შემოვიფარგლებით ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის, კერძოდ „საინფორმაციო ომის" აღწერით, რომელიც რუსი სამხედრო თეორეტიკოსების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს და მათ სტრატეგიულ არსენალში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

გენერლისა და სამხედრო თეორეტიკოსის მაჰმუთ გარეევის 1995 წელს გამოცემული მონოგრაფია „Если завтра война?.." რუსული ჰიბრიდული ომის თეორიის განვითარების ადრეული ეტაპის ერთ-ერთ პირველ ნაშრომად მიიჩნევა. მომავლის საბრძოლო ტექნოლოგიების მიმოხილვისას გარეევი საუბრობს მასობრივი ზემოქმედების პრინციპულად ახალ იარაღზე, რომლის მიზანიც მოსახლეობის ფსიქიკაზე ზემოქმედებაა (Гареев 1995, 54). ხოლო შემდგომ დეტალურად განსაზღვრავს „ინფორმაციული ომის" მეთოდებს, რომელთა გამოყენებაც უფრო და უფრო იხვეწება და გათვლილია იმაზე, რომ მოახდინოს:

> *ზეგავლენა მოსახლეობის ცნობიერებასა და გრძნობებზე და შიგნიდან გატეხოს სახელმწიფო. ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური კუთხით შერჩეული პროვოკაციული მასალის სისტემატური მიწოდებით, ნაწილობრივ სარწმუნო და მცდარი ინფორმაციის მონაცვლეობით, ხელოვნურად გაბერილი სენსაციური, ცნობიერების შემაშფოთებელი ფაქტების დაგროვებით შესაძლებელია საზოგადოებაში გამოუვალობის, განწირულობის მასობრივი ფსიქოზის გამოწვევა, რაც დააკარგვინებს ხალხს მთავრობისა და შეიარაღებული ძალების ნდობას და მთლიანობაში გამოიწვევს საინფორმაციო თავდასხმის ობიექტად ქცეული სახელმწიფოს დესტაბილიზაციას, რითაც მოწინააღმდეგის მოქმედებებისათვის ნაყოფიერი ნიადაგი იქმნება* (ibid., 55).

გარეევი ინფორმაციული ომის მიზნებისა და მეთოდების აღწერისას ისტორიულ ეპიზოდზე საუბრობს ამერიკა-ესპანეთის ურთიერთობების წარსულიდან და, ასევე, მაგალითად იშველიებს აწმყო კონფლიქტებს:

> *დღესაც მრავალი კონფლიქტის შემზადება როგორც ყოფილ იუგოსლავიაში, ასევე კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და სხვა რეგიონებში მნიშვნელოვან წილად სწორედ საინფორმაციო საშუალებების წყალობით ხდება, რომლებიც მართული არიან გარკვეული პოლიტიკური, მაფიოზური დაჯგუფებებისა და რიგი წამყვანი სახელმწიფოების სპეცსამსახურების მიერ* (ibid., 56).

ტერმინი „ჰიბრიდული ომი" რუსულ წყაროებში არ გამოიყენება, ხოლო რაც შეეხება ტერმინს „გამოუცხადებელი ომი" ეპიზოდურად გვხვდება ხოლმე იმის აღნიშვნა, რომ თანამედროვე გარემოებებში ომის გამოცხადება აზრს კარგავს. მაგალითად, იგივე გარეევი ზემომოყვანილ მსჯელობას ასრულებს ამერიკელი გენერლის ვ. ბელოუზის მოსაზრების ციტირებით[21], რომლის მიხედვითაც „პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად ინფორმაციული და სხვა საშუალებების განვითარების წყალობით იქმ-

21 გარეევის მონოგრაფიაში ბელოუზის აღნიშნული შეხედულების წყარო მითითებულია შემდეგნაირად: Сегодня. 1993. 3 августа.

ნება ჯართა დაპირისპირებიდან ფარული, გამოუცხადებელი ომის *[ხაზგასმა ჩვენი – კ. ლ.]* მეთოდებზე გადასვლის შესაძლებლობა" (ibid., 56) .

გარეევის იდეები შემდგომ დამუშავებულ იქნა ვლადიმერ სლიპჩენკოს მიერ, რომელსაც „არაკონტაქტური ომის" (Слипченко 1999) ცნება ეკუთვნის. „არაკონტაქტურ ომში" იგულისხმება მოწინააღმდეგის სამხედრო და ეკონომიკური ობიექტების განადგურება ზღვიდან, ჰაერიდან და კოსმოსიდან მაღალი სიზუსტის იარაღის გამოყენებით, მოწინააღმდეგის ჯართან პირდაპირი კონტაქტის გარეშე. ამავე ავტორს ეკუთვნის „მეექვსე თაობის ომის" ცნება (Слипченко, Войны Шестого Поколения: Оружие и Военное Искусство Будущего 2002), სადაც მაღალტექნოლოგიურ საბრძოლო იარაღთან ერთად საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაზეა აქცენტი გაკეთებული. სლიპჩენკოს ტერმინოლოგიაში „საინფორმაციო ომი" ნებისმიერი ტიპის ომის ჩვეულ ნაწილს წარმოადგენს (ibid., par.: 3.26) და მისი მეთოდების განხილვისას გამოყენებულია ისეთი ტერმინები როგორიცაა „საინფორმაციო დარტყმა", „საინფორმაციო შეჭრა", „საინფორმაციო ზემოქმედება" და „საინფორმაციო აგრესია" (ibid., par.: 11.42). ამ ტერმინებით მოწინააღმდეგის ციფრული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის წყობიდან გამოყვანისა და მის წინააღმდეგ გამოყენების სხვადასხვა სტრატეგია აღინიშნება. გარდა ამისა, სლიპჩენკო ყურადღებას ამახვილებს ფსიქოლოგიურ-ინტელექტუალური ზემოქმედების მეთოდებზე რომლის სამიზნეც მთელი საზოგადოებაა:

> *... აგრესორს შეუძლია [...] გაითამაშოს ინფორმაციული ომის სცენარი ამა თუ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, მისი შიგნიდან აფეთქების მიზნით. პროვოკაციული გადაცემები [იგულისხმება მასმედია – კ. ლ.] გათვლილი უნდა იყოს არა გონებაზე, არამედ პირველ რიგში ხალხის ემოციებზე, მათ გრძნობად სფეროზე, რაც გაცილებით მეტ ეფექტს იძლევა, განსაკუთრებით მოსახლეობის დაბალი პოლიტიკური კულტურის პირობებში... სხვადასხვა გამოგონილი და ფეთქებადსაშიში სიტუაციების მარჯვე მონტაჟით შეიძლება მივიღოთ ფსიქოლოგიური თავდასხმის ძლიერი იარაღი. ეს განსაკუთრებით ქმედითი შეიძლება აღმოჩნდეს სახელმწიფოში, სადაც სოციალური დაძაბულობა, ეროვნებათშორისი, რელიგიური და კლასობრივი დაპირისპირებები სუფევს. საგულდაგულოდ შერჩეულმა ინფორმაციამ... შეიძლება მცირე პერიოდში გამოიწვიოს პანიკა, მასობრივი არეულობები... ამგვარად შესაძლებელი ხდება აიძულო მოწინააღმდეგე კაპიტულირდეს იარაღის ტრადიციული საშუალებების გამოყენების გარეშე* (ibid.: par.; 6.79).

2013 წელს რუსეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელი ვალერი გერასიმოვი აქვეყნებს მცირე სტატიას (Герасимов 2013), რომელიც მალევე იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ეს სტატია დასავლელ ანალიტიკოსთა შეფასებით რუსული სამხედრო აზრის განვითარების შემდგომ საფეხურად განიხილება და აკადემიურ თუ პუბლიცისტურ ტექსტებში „გერასიმოვის დოქტრინის" სახელით მოიხსენიება. გერასიმოვი „არაბული გაზაფხულის" მოვლენების ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ თანამედროვეობაში „ომის წესები" ფუნდამენტურად შეიცვალა – პოლიტიკური და სტრატეგიული ამოცანების განხორციელებაში გაიზარდა არასამხედრო მეთოდების როლი, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, კონვენციურ სამხედრო საშუალებებზე უფრო ეფექტურია. არასამხედრო მეთოდებში გერასიმოვი გულისხმობს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ, საინფორმაციო და სხვ. საშუალე-

ბებს, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოწინააღმდეგე ქვეყნის მოსახლეობის საპროტესტო პოტენციალის მობილიზებას. გერასიმოვის მიერ თავის სტატიაში ჩამოთვლილ ტაქტიკურ/სტრატეგიულ ნაბიჯებში არა-სამხედრო მეთოდები 4-ჯერ აღემატება სამხედრო მეთოდებს და მოიცავს ისეთ საშუალებებს, როგორიცაა მოწინააღმდეგე სახელმწიფოში კოალიციების, გაერთიანებებისა და პოლიტიკური ოპოზიციის ფორმირება, ეკონომიკური ბლოკადა, დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტა და საინფორმაციო დაპირისპირების წარმოება. ამასთან ერთად ყველა ზემოჩამოთვლილი მეთოდი ომის კონკრეტულ ეტაპზე უნდა განხორციელდეს გარდა საინფორმაციო დაპირისპირებისა, რომელიც გერასიმოვის სქემის მიხედვით ომის ყველა ეტაპზე თანაბრად მნიშვნელოვანია.

ნიშანდობლივია სტატიის ბოლო ნაწილი რომელშიც გერასიმოვი საუბრობს სამხედრო საქმისა და სხვადასხვა გამოყენებითი და თეორიული დარგების სპეციალისტებს შორის თანამშრომლობაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყობს ახალ სამხედრო იდეათა გენერირებას. მოტივაციის ამაღლების მიზნით კი გერასიმოვს ე. წ. „სამამულო ომის“ მაგალითი მოჰყავს, რომლის დროსაც საბჭოთა კავშირს ძვირად დაუჯდა რუსი პოლკოვნიკისა და სამხედრო თეორეტიკოსის გეორგი ისერსონის იდეების უგულებელყოფა. გერასიმოვს მოჰყავს მცირე ამონარიდი ისერსონის 1940 წელს გამოქვეყნებული წიგნიდან “Новые Формы Борьбы”: „ზოგადად ომი არ ცხადდება. იგი უბრალოდ იწყება წინასწარ გაშლილი შეიარაღებული ძალებით. მობილიზება და კონცენტრირება ხდება არა ომის მდგომარეობის დადგომის შემდეგ, როგორც 1914 წელს, არამედ შეუმჩნევლად და თანდათანობით ხორციელდება დიდი ხნით ადრე“ (Иссерсон 1940, Par.: 4.59).

ბოლოს უნდა ვახსენოთ ბოგდანოვისა და ჩეკინოვის 2013 წელს გამოქვეყნებული სტატია სათაურით „ახალი თაობის ომის ბუნებასა და შინაარსზე“ (Чекинов и Богданов 2013). სტატიაში ავტორები იზიარებენ გერასიმოვის შეხედულებებს ომში მოწინააღმდეგის სამხედრო ძალის სხვადასხვა ასიმეტრიული, არასამხედრო მეთოდების საშუალებით ნეიტრალიზაციის შესახებ და, ამასთან ერთად, უფრო დეტალურად აღწერენ მსგავსი მეთოდების შინაარსს. მათი შეხედულებით არასამხედრო მეთოდები აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული ღია დაპირისპირებამდე და ასევე, მის განმავლობაში. თავად სამიზნე ქვეყანაში უნდა იქნეს მოძიებული მედია, რელიგიური და არასამთავრობო ჯგუფები, ასევე უცხოური დაფინანსებით მოქმედი სოციალური მოძრაობები და კვლევითი ორგანიზაციები, რომელთა ამოცანაც ღია სამხედრო მოქმედებების შემამზადებელი ინტენსიური პროპაგანდისტული სამუშაოს ჩატარება იქნება. მათი შეხედულებით მსგავსი ჰიბრიდული მეთოდების კომბინირებული გამოყენებით შესაძლებელია მცირე დროში სტაბილური და განვითარებადი სახელმწიფოს ქაოსში, ჰუმანიტარულ დაცემასა და სამოქალაქო დაპირისპირებაში ჩააგდება (ibid., 13).

ავტორები მომავლის ომებში ისეთ მაღალტექნოლოგიურ, არატრადიციულ იარაღთა ფართო გამოყენებას წინასწარმეტყველებენ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამინდსა და სეისმურ პროცესებზე. ასევე საუბრობენ რობოტიზებული, ავტომატიზებული და გენეტიკურად გენერირებული ბიოლოგიური იარაღის გამოყენებაზე (ibid., 14). მაგრამ, მათი შეხედულებით, მომავლის ომების ბრძოლის ველი ძირითადად საინფორმაციო სივრცე იქნება (ibid., 18), სადაც ჯარსა და მოსახლეობაზე განხორციელებული ფსიქოლოგიური და ინფორმაციული დარტყმები წინააღმდეგობის გაწევის ნების ჩასახშობად იქნება გამოყენებული (ibid., 16). ჩეკინოვისა და ბოგდანოვის სტატიაში აღწერილი არასამხედრო

მეთოდები და მათი გამოყენების ეტაპები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმის გამო თუ რამდენად ზედმიწევნით იქნა განხორციელებული მათი რეკომენდაციები რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინასთან დაპირისპირებაში (Rácz 2015, 39).

აღნიშნულ აკადემიურ სტატიებში მოყვანილი შეხედულებები ასახულ იქნა რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინაში, რომელიც პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ 2014 წლის დეკემბერში იქნა ხელმოწერილი (Военная доктрина Российской Федерации 2014). აღნიშნულ დოკუმენტში, ისევე როგორც რუს ავტორთა სტატიებსა და მონოგრაფიებში, მსჯელობა თავდაცვის პოზიციიდან მიმდინარეობს. ყველა ის საფრთხე, რომელიც რუსეთის ფედერაციის „ახალი თაობის ომის“ კონცეფციის ქვეშ შეიძლება ემუქრებოდეს რომელიმე სახელმწიფოს, წარმოჩენილია როგორც შესაძლო საფრთხე თავად რუსეთის ფედერაციისათვის. რუსეთის სამხედრო დოქტრინაში საფრთხეებისათვის დათმობილ თავს დაემატა „საინფორმაციო საფრთხეების“ პარაგრაფი, რომელიც გაფრთხილებას იძლევა მედია საშუალებებით რუსეთის მოსახლეობის სულიერ და პატრიოტულ მდგომარეობაზე ნეგატიური გავლენის მოხდენის შესაძლებლობებზე (ibid., 4-5). ასევე საუბარია გარეშე აქტორთა გავლენების აღკვეთის აუცილებლობაზე რუსეთის ფედერაციის შიდა საქმეებსა და მისი სასიცოცხლო ინტერესების სივრცეებში (ibid.). ეს უკანასკნელი კი განმარტებულია როგორც რუსეთის მეზობელი ქვეყნების შიდა საქმეები, საფრთხეს კი რუსეთისათვის ამ ქვეყნებში ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის გავლენათა გაძლიერება წარმოადგენს. სამხედრო საფრთხეების ნაწილში ხაზი ესმევა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას როგორც გარკვეულ სახელმწიფოთა სუვერენულობისა და ზოგადად რეგიონთა მშვიდობიანობისათვის საფრთხის შემცველ ფაქტორს, რაც შეიძლება აღქმულ იქნას პოტენციური მოწინააღმდეგეებისა და მეზობლებისათვის განკუთვნილ ერთგვარ მესიჯად, რომ ამიერიდან სამხედრო საფრთხედ აღიქმება არა მხოლოდ მოსაზღვრე სახელმწიფოებში სამხედრო წვრთნებისა და მობილიზაციების განხორციელება, არამედ ისეთი არასამხედრო ღონისძიებებიც როგორიცაა საინფორმაციო კამპანიები (Sonovets 2015, 2-3).

უნდა აღინიშნოს, რომ „ახალი თაობის ომის“ ზემოგანხილული ავტორები, აკადემიურთან ერთად ასევე სამხედრო წოდებების მფლობელები არიან. მათი ნაშრომები შესაძლებელია აღქმულ იქნეს რუსეთის სამხედრო არსენალში უკვე არსებული მეთოდების ლეგიტიმაციის მცდელობად, რადგან ქართული პრესის ზემომოყვანილი ანალიზი ადასტურებს, რომ რუს ავტორთა ნაშრომებში განხილული მეთოდების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გამოიყენებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში და მხოლოდ მას შემდგომ, რაც ამ მეთოდებმა პრაქტიკაში დაამტკიცეს ქმედითობა, მათ განხილვამ აკადემიურ სივრცეში გადაინაცვლა. ლეგიტიმაციის ბოლო საფეხურს კი 2014 წლის სამხედრო დოქტრინა წარმოადგენს, რომელშიც ყველა ზემოგანხილული სამხედრო სტრატეგია რუსეთისათვის და მისი „სასიცოცხლო ინტერესებისათვის“ საფრთხის შემცველ ფაქტორებადაა განხილული.

რუსულ აკადემიურ სივრცეში ე. წ. „ახალი თაობის ომის“ მეთოდების განხილვა ყოველთვის ამერიკისა და ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო გამოცდილების მოშველიებით ხორციელდება. მაგალითად გერასიმოვი საუბრობს „არაბული გაზაფხულის“ მოვლენებზე და განიხილავს ნატოს წევრი ქვეყნების მიერ 2011 წელს განხორციელებულ ლიბიის ოპერაციას, რომლის დროსაც შექმნილ იქნა არა-საფრენი ზონა, გამოიყენებოდა საზღვაო ბლოკადა და წარმოებდა კერძო სამხედრო კამპანიები ლიბიის ოპოზიციასთან მჭიდრო

კავშირში. გერასიმოვი ასევე ახსენებს 1991 წელს აშშ-ს მიერ ერაყში განხორციელებულ ოპერაციას, როგორც მოწინააღმდეგეზე ტექნოლოგიური უპირატესობის ნათელ მაგალითს. ამასთან ერთად იგი წუხილს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ ამ და მსგავსი არასამხედრო მეთოდების შესახებ მათი ცოდნა ზედაპირულია და საჭიროა ამ მიმართულებით კვლევების წარმოება. ჩეკინოვი და ბოგდანოვი თავის სტატიაში ასევე 1991 წლის „ყურეს ომს" ეყრდნობიან და მიიჩნევენ, რომ იგი პირველი „ახალი თაობის ომი" იყო კაცობრიობის ისტორიაში.

მსგავსი რიტორიკით რუსეთი პასიურ როლში აყენებს საკუთარ თავს. თითქოს ის იძულებულია შეისწავლოს და პასუხი გასცეს სხვა წამყვანი სახელმწიფოების ახალ სამხედრო სტრატეგიებს. ამგვარად ინოვატორის როლის სხვაზე გადაბრალებით ის პასუხისმგებლობას იცილებს „ახალი" თუ „ჰიბრიდული" ომის აშკარად არაჰუმანურ, ცინიკურ ბუნებაზე.

აგვისტოს ომის რუსული ნარატივი

აგვისტოს ომის დისკურსი მოიცავს ორ ზოგად ნარატივს. პირველი ნარატივი აგებულია სქემაზე „რუსეთი აგრესორი – საქართველო მსხვერპლი". ეს ნარატივი „ნაციონალური მოძრაობის" ძირითად ვერსიას წარმოადგენს აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით. ხოლო მეორე ნარატივი საუბრობს აგვისტოს მოვლენების შემდეგ ვერსიაზე „საქართველო აგრესორი – საქართველო მსხვერპლი". ეს უკანასკნელი 2008 წლიდანვე ჩნდება ქართულ პრესაში, ხოლო 2012 წლიდან იგი თანდათანობით ახალი ხელისუფლების რიტორიკაშიც პოვებს ასახვას. აგვისტოს ომის მოვლენების მსგავსი ინტერპრეტაცია რუსეთის ოფიციალურ ვერსიას ადასტურებს. ის შესაძლებელია ამოკითხულ იქნეს აგვისტოს ომთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი კომისიის ანგარიშის მეორე ტომში (IIFFM 2009). აღნიშნული ტექსტი უშუალოდ რუსეთის ფედერაციის მიერ იქნა გადაცემული კომისიისათვის და აქ მას გამოვიყენებთ როგორც აგვისტოს მოვლენების რუსული ვერსიის რეპრეზენტატულ ტექსტს, რომელიც შეკუმშული ფორმით, ფაქტებთან ერთად, ასევე, შეიცავს ბრალდებას, ავლენს დამნაშავე/პასუხისმგებელს და ცდილობს დაამტკიცოს საკუთარი ქმედებების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა.

ტექსტის დასაწყისშივე აგვისტოს მოვლენების იურიდიული სტატუსი ეჭვქვეშ არის დაყენებული – რუსული მხარის განცხადებით: „[...] ტერმინი „რუსულ-ქართული ომი" შეუსაბამოა" (ibid., 188). აღნიშნული ტერმინის შეუსაბამობის მიზეზები განმარტებული არ არის და არც მკაფიო ალტერნატივაა შემოთავაზებული, თუმცა, სავარაუდოდ, რუსული მხარის მიერ სწორედ ტერმინი „ომი" იქნა დაწუნებული. კონფლიქტის მონაწილე მხარეებად რუსეთისა და საქართველოს დასახელება სრულიად ლეგიტიმურია, რადგან რუსული ვერსიით საქართველოს მხრიდან თავდასხმის ობიექტად სამხრეთ ოსეთის მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად რუსი მშვიდობისმყოფელებიც გახდნენ. მაგრამ მოვლენების აღწერისას ტერმინი ომი გამოყენებული საერთოდ არ არის: 1) ქართული მხარის მოქმედებები დასახელებულია როგორც: „აგრესიული თავდასხმა", „მოღალატეობრივი თავდასხმა" და „კონსტიტუციური წესრიგის" აღდგენის კრიმინალური მცდელობა"; 2) რუსული მხარის მოქმედებები: „თავდაცვის განუყოფელი უფლების გამოყენება"; 3) ოსური მხარის მოქმედებები კი: „თავდაცვის გზების ძიება". როგორც შემდგომ ვნახავთ, აგვისტოს მოვლენა-

თათვის მკაფიო იურიდიული სტატუსის წართმევა პირველი ნაბიჯია საუბრის ემოციურ, მორალურ სივრცეში გადასაყვანად.

პასუხისმგებელი მხარის დადგენის საკითხში ტექსტი ორად შეიძლება გაიყოს. გარკვეულ ეპიზოდებში დამნაშავედ მოხსენიებულია ზოგადად საქართველო, ან საქართველოს ხელისუფლება, ხოლო ტექსტის ბოლოსაკენ სრული პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება საქართველოს პრეზიდენტსა და მის გუნდზე. რუსეთის ფედერაციის ვერსიაში, რომელიც ორ გვერდ ნახევარს შეიცავს, უშუალოდ სააკაშვილი 9-ჯერ არის ნახსენები ტერმინ „რეჟიმთან“ და „კრიმინალთან“ კომბინაციებში. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს: „ბატონმა სააკაშვილმა ერთპიროვნულად დაუსვა წერტილი საქართველოს მისწრაფებას აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა“ (ibid., 190) და „აშკარაა, რომ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ გამოვლენილ აგრესიაზე პასუხს აგებს არა ქართველი ხალხი, არამედ ბატონი სააკაშვილის კრიმინალური რეჟიმი“ (ibid.). ზემომოყვანილი ორი წინადადება ურთიერთგამომრიცხავია ორი თვალსაზრისით. ერთი რომ, პირველი ფრაზა გულისხმობს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას ხოლო მეორე ჯგუფურს. და მეორე, ბოლო ფრაზით ხდება საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული საზოგადოების ერთმანეთისაგან გაყოფა, თუმცა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე უარის თქმით საზღაურს იხდის ქართული საზოგადოება, რომელიც ამავდროულად არაა პასუხისმგებელი.

გარდა სააკაშვილისა, საქართველოს ხელისუფლებისა და ზოგადად საქართველოსი, რუსულ ვერსიაში პასუხისმგებლობა საერთაშორისო საზოგადოებაზეც არის დაკისრებული, განსაკუთრებით კი „ვაშინგტონზე, კიევსა და ნატოს წევრ რიგი სახელმწიფოებზე“ (ibid., 189), რომლებიც ფინანსურად ეხმარებოდნენ და სამხედრო აღჭურვილობით ამარაგებდნენ საქართველოს და, ამასთან ერთად, უგულებელყოფდნენ რუსეთიდან მომავალ გამაფრთხილებელ განცხადებებს. ამ პასაჟით პასუხისმგებელთა წრე მნიშვნელოვნად ფართოვდება. აგვისტოს ომის მოვლენების შიდა სახელმწიფოებრივ და რეგიონულ დონეებს საერთაშორისო განზომილებაც ემატება. გაურკვეველია ისიც თუ კონკრეტულად რა იგულისხმება რუსეთის მიერ საერთაშორისო საზოგადოებისათვის გაკეთებულ გაფრთხილებებში საქართველოს წინააღმდეგ. მართალია, პასუხისმგებლობის პოლიტიკური ცნება ხშირად ბუნდოვანია (იხ.: Bovens 2011), მაგრამ რუსული მხარის მიერ ამ ტერმინის გამოყენება, ამასთან ერთად – წინააღმდეგობრივი.

პოლიტიკური მითი

ზემომოყვანილი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი წინააღმდეგობები გვიბიძგებს აგვისტოს მოვლენების რუსული ვერსია პოლიტიკური მითის ცნების ქვეშ განვიხილოთ. ეს ცნება ძირითადად პოლიტიკურ იდეოლოგიათა კრიტიკის მიმართულებით[22] გამოიყენება. განსაკუთრებული ყურადღებას კი იპყრობენ ტოტალიტარულ და ავტორიტარულ რეჟიმთა იდეოლოგიები, რომლებმაც, მიუხედავად თავისი ირაციონალურობისა, ასეთი დიდი

22 იხ. ენდრიუ ფონ ჰენდის (2001, Ch.12) მიმოხილვა თუ როგორ განვითარდა მე-20 საუკუნის შუა წლებში კრიტიკული თეორიები, რომლებიც იდეოლოგიას პოლიტიკურ მითთან აიგივებენ (Mannheim 1936, Horkheimer and Adorno 1972) მარქსის, ნიცშესა და ფროიდის ინტელექტუალურ მემკვიდრეობებზე დაყრდნობით.

გავლენა იქონიეს დასავლურ საზოგადოებებზე (Cassirer 1946, Ch. XVIII). ჩვენი კვლევის შემთხვევაში, მართალია, კონტექსტი განსხვავებულია, მაგრამ პოლიტიკური მითის ცნების გამოყენება შესაძლებელი ხდება, ერთი მხრივ, მითის ფენომენის თეორიათა მრავალფეროვნების წყალობითა და, მეორე მხრივ, პოლიტიკური მიზნებით, რომელსაც რუსული ნარატივი ემსახურება.

მითის პოლიტიკური დატვირთვის მკვლევრები მიიჩნევენ, რომ მითი თავისი განსაზღვრებით „არის მოვლენათა დრამატული ფორმით თხრობა“[23]. რუსულ ვერსიაში დრამატიზმი შექმნილია, ერთი მხრივ, მოქმედ მხარეთა მორალურ პასუხისმგებლობაზე აქცენტირებით, და, მეორე მხრივ, ელემენტებით, რომლებსაც არანაირი პირდაპირი თუ ირიბი შეხება არ ჰქონია აგვისტოს მოვლენებთან. ასე მაგალითად, ქართული მხარის მოქმედებები შეფასებულია „ცინიზმად“, რაც საბრძოლო მოქმედებების ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე განზრახ დამთხვევაში გამოიხატა. ოლიმპიური თამაშების დროს კი, როგორც რუსულ ვერსიაშია გაცხადებული, „ტრადიციულად სამხედრო მოქმედებები უნდა წყდებოდეს“ (IIFFM 2009, 189).

პეკინის 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები მნიშვნელოვან მორალურ-დრამატული არგუმენტის როლს ასრულებს მოვლენათა რუსულ ვერსიაში. ომიდან ექვს თვეში გაქირავებაში იქნა გაშვებული პირველი მხატვრული, მძაფრსიუჟეტიანი ფილმი „ოლიმპიუს ინფერნო“, რომლის სიუჟეტიც მოვლენათა რუსულ ვერსიაზეა აგებული. ფილმის სათაური ითარგმნება როგორც „ოლიმპიური ჯოჯოხეთი“ (ღამის პეპლის გამოგონილი სახეობა); ამის გარდა, აგვისტოს ომის წლისთავზე რუსეთის პირველი არხით ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი «08.08.08. Война в прямом эфире», რომლის პირველ კადრებში დამონტაჟებულია ღამის პეკინის ფეიერვერკები და საარტილერიო გასროლები, რაც ერთობლიობაში ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ქართული არტილერია ბომბავდა ღამის პეკინს[24].

მსგავსი ხაზგასმა აგვისტოს მოვლენებისა და პეკინის ოლიმპიადის დამთხვევისა სამართლის თვალსაზრისით არაფრის მომცემია, რადგან არანაირი საერთაშორისო კანონი, წესი, თუ რეგულაცია არ არსებობს, რომელიც ოლიმპიური თამაშების პერიოდს საკრალურ დროდ აცხადებს და მხარეებს იარაღის დადებისაკენ მოუწოდებს. რუსულ ვერსიაში ქართული მხარის ქმედებები დახასიათებულია როგორც: უპრეცედენტო, უგუნური, სასტიკი, მოღალატეობრივი, დამნაშავეობრივი, გაუმართლებელი და ცინიკური, ამის დადასტურებისთვის კი ერთ-ერთ არგუმენტად ოლიმპიური თამაშებია მოყვანილი.

2012 წლის თებერვალში რუსულ კინო-ბაზარზე მოეწყო რეჟისორ ჯანიკ ფაზიევის ფილმის “აგვისტოს რვა” («Август восьмого») კინოპრემიერა. სიუჟეტი ორ პარალელურ ნაწილად შეიძლება იქნეს გაყოფილი: ერთი მხრივ, ფილმის მთავარი გმირი ცდილობს ნებისმიერი გზებით ჩააღწიო სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთ სოფელში, სადაც მისი შვილი იმყოფება და ამ დროს იწყება ქართული მხარის მზაკვრული საბრძოლო მოქმედებები, მეორე მხრივ კი, ომის ეპიცენტრში მყოფი ბავშვის მდიდარი წარმოსახვა მოვლენებს კეთილ

23 ჰენრი ტუდორი (1972, 120) მარქსიზმის ძირითადი დოქტრინის – პროლეტარული რევოლუციის – ანალიზზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ პოლიტიკური დოქტრინის მითიურობის მაჩვენებელი უპირველეს ყოვლისა მისი დრამატული სტრუქტურაა.

24 კადრები მიმდინარეობს 6 წამის მანძილზე: https://www.1tv.ru/doc/pro-voynu/dokumentalnyy-film-08-08-08-voyna-v-pryamom-efire.

და ბოროტ სუპერ-გმირებს შორის მიმდინარე ეპიკურ ბრძოლად აღიქვამს. ფილმის ღიად პროპაგანდისტული სიუჟეტი სწორედ ამ ფანტასტიკური ელემენტით იქნა გადაფარული.[25] ფაზიევის ფილმში პეკინის ოლიმპიადაზე მითითებები არ არის გაკეთებული, თუმცა დედის გმირობა, რომელსაც ვერანაირი დაბრკოლება ვერ აჩერებს და უმწეო ბავშვის ფანტაზია, რომელშიც წარმოსახვითი რობოტი თავგანწირვით ასრულებს სიცოცხლეს, ემოციური დატვირთვის გამძაფრების გარდა სხვა ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლევა.

აგვისტოს ომის შესახებ სულ სამი, მასობრივ მაყურებელზე გათვლილი, მაღალ-ბიუჯეტიანი, მძაფრ-სიუჟეტიანი ფილმია გადაღებული. აქედან ორი, რომლებზეც ზემოთაა საუბარი, რუსულ ვერსიაზეა აგებული, ხოლო ერთი – ქართულზე (რენე ჰარლენის „აგვისტოს ხუთი დღე). ტომას დე ვაალის შეხედულებით სამივე ეს ფილმი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს და მეტად ხელს უშლის ობიექტური სინამდვილის გამორკვევას. მისივე თქმით, აგვისტოს ომი ისეთივე მითოლოგიზებულია, როგორც ტროას ომი (2011, 4). რა თქმა უნდა, მსგავსება რუსულ და ქართულ ფილმებს შორის სარკისებურია, სამივე მათგანში მეორდება სიუჟეტის ერთი ელემენტი, რომელიც შლის ზღვარს მოწინააღმდეგე მხარეებს შორის, სამივეგან ფილმის ბოლოსკენ მოწინააღმდეგე რაიმე სათნო საქციელს ჩადის, რითაც ეხმარება მთავარ გმირს თავისი მისიის შესრულებაში (რუსული ფილმები), ან ავლენს ჰუმანურობას და თავიდან ირიდებს ზედმეტ სისხლისღვრას (ქართული ფილმი). აღნიშნული დრამატული კლიშე ერთი მხრივ სწორხაზოვნებისაგან იცავს სიუჟეტს და, მეორე მხრივ, ძალადობის ამაოებას უსვამს ხაზს, რომელშიც უბრალო ჯარისკაცები თავისი ნების გარეშე იქნენ ჩათრეულნი.

აგრესიული ნაციონალიზმი რუსული პოლიტიკური მითოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი მითოლოგემაა, რომლის წყალობითაც შესაძლებელი ხდება მსხვერპლ სახელმწიფოზე მორალური უპირატესობის მოპოვება და საკუთარი აგრესიული ქმედებების სამშვიდობო და უმცირესობათა უფლებების დაცვის პოლიტიკით შენიღბვა. ეს მითოლოგემა ერთგვარ კონტექსტად მიჰყვება აგვისტოს ომის რუსულ ვერსიას, მისი წყალობით საქართველო თავისთავად აგრესიულ ქვეყნადაა გამოყვანილი და მის დამნაშავეობრივი ქმედებების მიზეზებზე კითხვები აღარ ჩნდება.

მსგავსი მითის გამოყენების შემთხვევა სიღრმისეულადაა გაანალიზებული უკრაინის შემთხვევაში, სადაც რუსული საინფორმაციო საშუალებები სისტემატურად მოიხსენიებდნენ უკრაინის აღმოსავლეთში მებრძოლ განმათავისუფლებელ ჯარებს ნაცისტებად და მიაწერდნენ მათ საკონცენტრაციო ბანაკების შექმნას, დახვრეტის სიების შედგენას რუსი ეროვნების პირებისათვის და დედის თვალწინ ბავშვის რიტუალურ მკვლელობას (Дикий 2016, 31). გარდა ამისა, პროპაგანდისტული ოპერაციები, რომლებიც მიმართულია უკრაინის ისტორიულ პერსონაჟთა – ივან მაზეპას, სტეფან ბანდერასა და სხვ. – წინააღმდეგ, მიზნად მათ მოღალატეებად და ნაცისტ-კოლაბორაციონისტებად გამოყვანას ისახავს (Магда 2015, 25). ტერმინ „ნაციონალისტის“ სტიგმატიზებით, მისი ნაცისტთან გათანაბრებით ნებისმიერი ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და მთლიანობისათვის დანაშაულებრივი ქმედება ხდება.

25 კინო-მაყურებელთა დაბნეულობა აღნიშნული ფილმის აფიშაზე რობოტის გამოსახვის თაობაზე ნათლადაა გამოხატული მათ მიერ საიტ КиноПоиск-ზე განთავსებულ კომენტარებში, იხ.: https://www.kinopoisk.ru/news/1504113/

საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატის, აკადემიკოს სახაროვის განცხადება, რომ საქართველო „პატარა იმპერიაა" (Цитриняк 1989) სწორედ მასში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ემანსიპაციის აუცილებლობის მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული. მიუხედავად აკადემიკოს სახაროვის სიტყვების საწყისი მნიშვნელობისა (მისი შეხედულებები საბჭოთა კავშირის იმპერიულ ფორმასა და მოკავშირე სახელმწიფოთა იმპერიულ მემკვიდრეობაზე არაერთაზროვანია), რომელიც გამოთქმულ იქნა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების წინარე პერიოდში, მისი ფორმულა აგვისტოს ომის პერიოდშიც იქნა გახსენებული „რუსული სამყაროს"[26] ერთ-ერთი იდეოლოგის ალექსანდრ დუგინის მიერ. ის იმეორებს სახაროვის ფორმულას, რომ საქართველო პატარა იმპერიაა, რომელიც აფხაზებისა და ოსების გამოყოფის შემდეგაც კი მრავალი ეთნოსისგან შედგება, როგორიცაა აჭარლები, მეგრელები, სომხები და აზერბაიჯანელები, და რის გამოც ერთიანობის შესანარჩუნებლად საქართველოს იმპერიული ფორმის შენარჩუნება სჭირდება. ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მცდელობა კი ეთნიკურ ჰომოგენიზაციას გულისხმობს, რომლის საქართველოში განხორციელების მცდელობა აუცილებლად გამოიწვევს მცირე ერების განადგურებას მის ფარგლებში (Дугин 2009).

მსგავსი ტიპის პროპაგანდა გათვლილია, უპირველეს ყოვლისა, თავად რუსულ აუდიტორიაზე, სადაც „სამამულო ომში" ნაცისტურ გერმანიაზე „გმირული" გამარჯვების მეხსიერება (Wertsch 2004, 4-5) სიამაყის უშრეტ წყაროს წარმოადგენს. მსგავსმა პროპაგანდამ შეიძლება ასევე მსხვერპლი სახელმწიფოს რუსულენოვანი უმცირესობების ყურადღება მიიპყროს, რომლებსაც რუსეთი მხსნელად ევლინება. ამასთან ერთად მან შეიძლება დასავლური აუდიტორიის ინტერესიც დაიმსახუროს, რომლის მეხსიერებაშიც ნაციონალური უთანხმოებები ასოცირდება კოსოვოს ომის მოვლენებთან, რისი გამეორებაც ყველა შესაძლებელი ხერხით თავიდან უნდა იქნეს აცილებული (Bergholz 2016).

რუსული საინფორმაციო პოლიტიკა განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს მიზანში იღებს და, მიუხედავად საინფორმაციო პოლიტიკის წინააღმდეგობრიობისა, თითოეული გზავნილი მისთვის განკუთვნილ აუდიტორიას პოულობს (Дикий 2016, 31). მსგავსი საინფორმაციო პოლიტიკის გატარება სამიზნე აუდიტორიათა თავისებურებების ცოდნასა და გათვალისწინებას მოითხოვს, რაშიც რუსული მხარის ოსტატობა აშკარაა. უკრაინის მოვლების ანალიზისას ნათელი ხდება, რომ „რუსებმა თავისი სამიზნე აუდიტორიებისა და მათი შესაძლო რეაქციების სიღრმისეული ცოდნა და გაგება აჩვენეს... რისი წყალობითაც მათთვის ცნობილი იყო თუ რა უნდა გაეკეთებინათ და რა მოლოდინები უნდა ჰქონოდათ" (Bērziņš 2014, 6). როგორც ევროკავშირის უსაფრთხოების კვლევების სტრატეგიული კომუნიკაციების ანგარიშშია აღნიშნული „რუსულმა გზავნილებმა, მიუხედავად არათანმიმდევრულობისა, თავისი ეფექტურობა დაადასტურეს: მიუხედავად შინაარსის თვალსაზრისით მცდარობისა და დაუმუშავებლობისა, მისი მიწოდება ზედმიწევნით ხორციელდება წინასწარ გათვლილ სამიზნე აუდიტორიებზე და ევროკავშირის სისუსტეების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება შეუძლიათ" (Missiroli 2016, 7).

26 „რუსული სამყარო" ერთგვარ ცივილიზაციურ პროექტად შეიძლება იყოს გაგებული, რომელიც სამყაროს იმ სურათის მიმართ ერთიანობასა და სოლიდარობისაკენ მოუწოდებს, რომელსაც რუსული მედია ქმნის და რომლის საბოლოო მიზანიც, ვლადიმერ პუტინის თქმით, ისტორიული რუსეთის ერთიანობის აღდგენაა (Чернышов 2014).

იმედგაცრუების ნარატივი

საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიული დისკურსი შეიცავს იმედგაცრუების ნარატივს, რომელიც პერიოდულად მეორდება განსხვავებულ პოლიტიკურ კონტექსტებში. იმედგაცრუების მიზეზი გარკვეული ქმედებები და გადაწყვეტილებებია, რომლითაც რუსეთი თავად ეწინააღმდეგება საკუთარ განცხადებებს, გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და დადებულ შეთანხმებებს. დისკურსული ექსკურსი ისტორიული მეხსიერების იმ ელემენტების გამოვლენის საშუალებას გვაძლევს, რომელიც ქართული საზოგადოების მენტალიტეტს აყალიბებს რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ეს მენტალიტეტი თავად რუსული იმპერიული პოლიტიკის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს და ამ უკანასკნელის მხრიდან მუდამ იყო ქცეული როგორც შესწავლის ასევე კონსტრუირების ობიექტად.[27] ხოლო თანამედროვე, რუსული რევიზიონისტული პოლიტიკის კონტექსტში ქართული მენტალობა ჰიბრიდული ომის ტაქტიკურ შესაძლებლობათა სქემას განსაზღვრავს, რომელში გამოვლენილი სუსტი წერტილებიც შესაძლოა საქართველოს წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

ამგვარი იმედგაცრუების აღწერის ადრეული მაგალითი მოცემულია ისტორიკოს პლატონ იოსელიანის (1893) წიგნში „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება". მცირე დიალოგში, რომელიც 1829 წელს მოხდა, ეგნატ იოსელიანი (პლატონ იოსელიანის მამა) ესაუბრება გიორგი XII-ს ძმას. უკანასკნელი ამართლებს რუსეთის შემოსვლას საქართველოში ერთმორწმუნეობისა და სამეფო კარზე შიდა ოჯახური უთანხმოებების არგუმენტით და ქვეყნის გაცემასა და სამეფოს დაცემას მისი ძის, გიორგი XII-ს, წინააღმდეგ წაყენებულ ცრუ ბრალდებად აფასებს. მაგრამ, ამავდროულად, გამოთქვამს წუხილს იმაზე, რომ რუსეთმა „დასტოვა სამეფოისა სახლისა წევრნი ულუკმოდ" (128). რაზეც ეგნატ იოსელიანი პასუხობს: „არვინ ველოდით რუსთაგან ამას, რასაცა თქვენ მიბრძანებთ; ახლა ვჰხედავთ რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილა. ძლიერნი ძალთა სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა" (ibid.). პლატონ იოსელიანი აკრიტიკებს რუსული მმართველობის სისტემასა და სამართალს, ჩამოთვლის ქართულ ტრადიციულ ინსტიტუტებს და წუხს, რომ ეს ყველაფერი რუსეთის იმპერიას ჩაბარდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა "ბედი ქართლისა", რომელიც 1839 წელს დაიწერა და 1856-ში გამოქვეყნდა, ასევე შეიძლება განხილულ იქნას რუსეთისაგან იმედგაცრუების გამოხატვის ერთ-ერთ ნიმუშად. პოემის სამი მოქმედი პერსონაჟიდან ორი უარყოფითადაა განწყობილი ერეკლეს გადაწყვეტილების მიმართ ჩააბაროს საქართველო რუსეთის ზედამხედველობას. მომხრე მხოლოდ თავად ერეკლე მეორეა, რომელსაც არგუმენტად მშვიდობა და კეთილდღეობა მოჰყავს. პოემა კრწანისის ომის მოვლენების აღწერით იწყება, რომელშიც გამოვლენილი თავგანწირული ბრძოლა, უკან დახევა და საბედისწერო ღალატი მოტივად მიჰყვება მთელს პოემას. მეორე ნაწილში გადმოცემულია წარმოსახვითი

27 სუზან ლეიტონი (1994), მაგალითად, მე-19 საუკუნეების რუსულ პოეზიაში შექმნილ კავკასიის ხატს აღწერს, რომელიც რუსული საზოგადოების პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ და ესთეტიკურ მოთხოვნილებებს ეხმაურებოდა. საქართველოსათვის დათმობილ თავში (ibid., 192-211) აღწერილია თუ როგორ ხდება კავკასიის და კონკრეტულად საქართველოს ფემინური სურათის კონსტრუირება, კავკასიელების მიერ რუსების სამხედრო და სასიყვარულო საქმეებში დაჯაბნის გასათანაბრებლად. ასევე გაანალიზებულია რიგ რუს ავტორთა ნაწარმოებები რომლებმაც „ხელი შეუწყვეს საქართველოს მარგინალიზებას, როგორც ევროპის მიერ მივიწყებული აზიის პატარა კუთხისა, რომელიც რუს მმართველების მოლოდინშია" (ibid., 9-10).

დიალოგი და კამათი მეფე ერეკლესა და სოლომონ ლეონიძეს შორის, სადაც მოყვანილია არგუმენტები რუსეთთან კავშირის დადებით და უარყოფით მხარეების შესახებ. ისტორიული თვალსაზრისით ეს კამათი დიაქრონულია, რადგან რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება (1783 წ.) წინ უსწრებდა კრწანისის ომს (1795 წ.). შესაბამისად შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ პოემის პირველ და მესამე ნაწილებში დახატული თბილისის აღების საზარელი სურათები ავტორისეული პასუხია ერეკლე მეფის ოპტიმიზმზე.

უკვე საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში ივანე ჯავახიშვილი (1919) სიღრმისეულად შეისწავლის რუსულ-ქართულ ურთიერთობებს თავის ნაშრომში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის VIII საუკუნეში", რომელიც 1919 წელს გამოიცა და ასაბუთებს, რომ გეორგიევსკის „მფარველობითი ტრაქტატი" მართალია ორივე მხარის ინტერესებს ემსახურებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც დარღვეულ იქნა რუსეთის მიერ და 1795 წელს საქართველო მარტო იქნა დატოვებული ირანიდან მომდინარე კატასტროფული საფრთხის პირისპირ.

1921 წლის თებერვლის მოვლენების, ბოლშევიკური ოკუპაციის შედეგად საქართველო ისევ ბრუნდება ახალი საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში. ისტორიკოსი დომინიკ ლევენი (Lieven 2001) იმპერიათა კომპარატივისტულ კვლევაში საბჭოთა კავშირს იმპერიად მოიხსენიებს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკებისათვის იმპერია საძაგებელ ტერმინს წარმოადგენდა. ლევინის სტრუქტურულ მახასიათებლებთან ერთად ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ:

> *„არც თავად საბჭოთა კავშირის საზღვრებში და არც მის სატელიტ სახელმწიფოებში კომუნისტური მმართველობა არასოდეს ყოფილა დაფუძნებული მართულთა თანხმობაზე... კომუნისტური მმართველობის დამყარება ხდებოდა ყველგან სადაც კი მოსკოვს ამისათვის საკმარისი ძალა ჰქონდა. როგორც კი ევროპას გაუნელდა ინტერესი ტრანს-კავკასიის მიმართ, დამოუკიდებელი საქართველო ჩაყლაპულ იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს, რაც მოსკოვსა და თბილისს შორის გაფორმებული ხელშეკრულების აღმაშფოთებელ დარღვევას წარმოადგენდა"* (ibid., 289).

საბჭოთა ოკუპაციასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი ინტერპრეტაციაა მოცემული მოვლენების უშუალო მონაწილის იოსებ ირემაშვილის (2006) მიერ. 1931 წელს იგი გერმანიაში, პოლიტიკური ემიგრანტის სტატუსით გამოსცემს თავის მოგონებებს, რომელშიც აქცენტი იოსებ სტალინთან ურთიერთობაზეა გაკეთებული. ირემაშვილი და სოსო ჯუღაშვილი ბავშვობის მეგობრები იყვნენ, შემდგომ მათი პოლიტიკური შეხედულებები ერთმანეთს დასცილდა, რაც საბოლოოდ, ირემაშვილის მტკიცებით, პიროვნულ მტრობაში გადაიზარდა.

საქართველოს გასაბჭოებას ირემაშვილი სტალინის „ღალატობრივი"[28] მოქმედებებით ხსნის. სტალინის დამოკიდებულებას საქართველოსთან მიმართებაში ირემაშვილი უპირისპირებს ლენინის პოლიტიკას, რომელმაც „1920 წლის 7 მაისს [...] ჩვენი ქვეყნის მთავრობასთან დადო ხელშეკრულება, რითაც ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარა და ბოლშევიკური პროპაგანდის აღკვეთის გარანტია მოგვცა" (ibid., 56). თუმცა სტალინი ამ ხელშეკრულების წინააღმდეგი იყო, მას საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ პატივმოყვარეობა და შურისძიება ამოძრავებდა და 1921 წლის თებერვალში

28 ირემაშვილის წიგნის ქართულ თარგმანში ტერმინი ღალატი რვაჯერ არის ნახსენები და ყოველ ჯერზე სტალინის მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა დახასიათებისათვის გამოიყენება.

მან „ლენინის ნების საწინააღმდეგოდ [...] საქართველოს გაბოლშევიკება (გასაბჭოება), ანუ სტალინიზაცია განიზრახა“ (ibid., 58).

ირემაშვილის ინტერპრეტაციით ერთ მხარეს გვაქვს ლენინთან 1920 წლის 7 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარანტს უნდა წარმოადგენდეს, ხოლო მეორე მხრივ – სტალინის პათოლოგიური განწყობილებები, რომელსაც ზემოაღნიშნული ხელშეკრულებაც ვერ აკავებს.[29] შესაბამისად, რუსეთის კომუნისტური ფედერაციის პოლიტიკა გადაწონილ იქნა სტალინის პირადი განწყობების მიერ.

1930-იანების ბოლოდან იწყება გიორგი სააკაძის ფიგურის აღორძინება, რომლის მოღვაწეობაც პოზიტიურად იქნა წარმოჩენილი მიხეილ ჭიაურელის 1941 წელს გადაღებულ ფილმში, რომლის სცენარიც სტალინის მიერ იქნა შერჩეული და რედაქტირებული. სააკაძის მოღვაწეობის სტალინისეული რეინტერპრეტაციის საფუძველზე იქმნება ქვეყნის ინტერესებისათვის უცხო სამხედრო ძალის გამოყენების მიზანშეწონილობის თეორია. ამ თეორიის მიხედვით, თუ უცხო სამხედრო ძალა ხელს უწყობს კლასობრივი დაპირისპირების გამძაფრებას, ან პროლეტარიატის მიზნების განხორციელებას მისი ჩართვა ქვეყნის შიდა პროცესებში სარგებლის მომტანია. თუმცა ამ წარმატებას საბოლოო ჯამში ქვეყნის შიდა მდგომარეობა განსაზღვრავს. შესაბამისად აღმაშენებლის მიერ ყივჩაღების მოწვევა დადებითადაა შეფასებული, რადგან ამან ხელი შეუწყო ქვეყნის აშენებას; გიორგი სააკაძის ალიანსი სპარსეთთან, მართალია „პროგრესულ“ მიზნებს ემსახურებოდა, მაგრამ მაინც წარუმატებელი გამოდგა, რადგან „სააკაძისდროინდელი საქართველო ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული ასეთი პოლიტიკისათვის“;[30] ერეკლე მეორის მიერ რუსეთის იმპერიასთან გაფორმებული ხელშეკრულება უმცირეს ბოროტებად სახელდება, თუმცა მაინც დადებითად არის შეფასებული ქვეყნის გაერთიანება და სარწმუნოების შენარჩუნების კუთხით.[31] ხოლო ე. წ. „ერეკლეს ანდერძი“, ანუ ქვეყნის სუვერენულობის უზრუნველყოფა შესრულებულ იქნა ბოლშევიკების მიერ, სადაც პირველ რიგში თავად სტალინი მოიაზრება.

სტალინის მიერ ქართველ ისტორიკოსებთან „გადაფარვის“ თეორიაზე გაშლილი მსჯელობა სავარაუდოდ ექსკლუზიურად საქართველოსთვის მომზადებული თეორია იყო. რადგან ცნობები ამ ტერმინის დაწვრილებით განხილვის შესახებ ნიკო ბერძენიშვილის მოგონებების გარდა სხვაგან არსად არ გვხვდება. თავად სტალინის ნაწერების 18 ტომეულშიც გადაფარვის ტერმინი შესულია მხოლოდ ბოლშაკოვისადმი დაწერილი წერილის ვარიანტით. დღეისათვის კლასთა შორის დაპირისპირების ბოლშევიკური განმარტება პოლიტიკური პროცესების გაგებისათვის რელევანტური აღარ არის, თუმცა საზოგადოებაში სადაც ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირებების გაღვივების პოტენციალი ბოლომდე ამოწურული არ არის და არც აქტიური სამოქალაქო საზოგადოება არსებობს,[32] სტალინის

29 ირემაშვილის მოგონებები ახალგაზრდა სტალინის შესახებ მნიშვნელოვან წყაროდ იქცა დასავლურ სტალინოლოგიაში დიქტატურის ფსიქო-ისტორიული შესწავლის კუთხით.

30 სტალინის ივან ბოლშაკოვისადმი წერილიდან(საკავშირო კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარე), სადაც მოცემულია მისი შეფასებები გიორგი სააკაძის ფილმის სცენარებისათვის. ციტირებულია გურამ ყორანაშვილის წიგნიდან Ibid. 15.

31 ნიკო ბერძენიშვილის ჩანაწერებში სადაც ერთგვარი ანგარიშია მოცემული 1946 წელს ქართული დელეგაციის სტალინთან სტუმრობისა აღნიშნულია, რომ სტალინი ქრისტიანობას დადებით შეფასებას აძლევს, როგორც მონობის წინააღმდეგ მიმართული იდეოლოგიას.

32 რუსეთის სამეზობლოში სწორედ ამ სისუსტეთა სიჭარბით შეიძლება იქნეს ახსნილი საკუთარი რევიზი-

გადაფარვის თეორია დღემდე ინარჩუნებს ქმედითობას, როგორც თეორიული საბაბი სამხედრო ჩარევისათვის.

აქ მოყვანილი მაგალითები აჩვენებს, რომ რუსეთის პოლიტიკით ქართველთა იმედგაცრუების ფენომენი საუკუნეების წინ იღებს სათავეს. მისი მუდმივი განმეორება ერთგვარად ოსტინატურ ფორმას იღებს, რომელიც ისევ რუსეთს აძლევს ხელს და მისი ასიმეტრიული მეთოდების წარმატებაზე მიუთითებს. საუკუნეების მანძილზე ქართველთა მიერ რუსეთის პოლიტიკისადმი დამოკიდებულება მხოლოდ „მოულოდნელობიდან" „ვერდაჯერებამდე" მერყეობს, ხოლო რუსული ტაქტიკა ღალატად, გამოუცხადებელ, ან ჰიბრიდულ ომად ინათლება. ერთადერთი, რაც არ იცვლება, იმედია, რომ ერთხელაც რუსეთისგან მოტყუებულები აღარ დავრჩებით. სწორედ ამ იმედზე უარის თქმა იქნება აუცილებელი ნაბიჯი რუსული ოკუპაციის მოჯადოებული წრიდან გასაღწევად.

გამოყენებული ლიტერატურა:

ელბაქიძე, ელზა. 2017. *რუსული მცოცავი ოკუპაცია ციფრებში.* 8 ივნისი. Factcheck.ge. https://factcheck.ge/ka/story/30489-rusuli-mtsotsavi-okupatsia-tsiphrebshi (23.01.2019)

იოსელინი, პლტონ, ეგნტეს ძე. 1893. *ცოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება.* თფილისი: სტამბა ექვთიმე ივ. სალაძისა.

ირემაშვილი, იოსებ. 2006. *სტალინი და საქართველოს ტრაგედია. უცნობი ირემაშვილი.* გადათარგმნილია გერმანულიდან თარგმნი მაია ბადრიძისა და ზექალშვილი რუსუდანის-ის მიერ. თბილისი: შპს "ფავორიტი".

ჯავახიშვილი, ივანე. 1919. *დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის VIII საუკუნეში.* თბილისი: სახელმწიფო სტამბა.

Bachmann, Sascha Dov, and Andres B. Munoz Mosquera. 2018. "Hybrid Warfare as Lawfare: Towards a Comprehensive Legal Approach." In *A Civil-Military Response to Hybrid Threats*, edited by Eugenio Cusumano and Marian Corbe, 61-76. Cham: Palgrave Mcmillan.

Bergholz, Max. 2016. *Violence as a Generative Force: Identity, Nationalism, and Memory in a Balkan Community.* Ithaca and London: Cornell University Press.

Bērziņš, Jānis. 2014. "Russia's New Generation Warfare in Ukraine: Implications for Latvian Defense Policy." Policy Paper no. 02, Center for Security and Strategic Research, National Defense Academy of Latvia.

Bovens, Mark. 2011. "Responsibility." In *International Encyclopedia of Political Science*, eds. Bertrand Badie, Dirk Berg-Schlosser and Leonardo Morlino, 2299-2301. Los Angeles: SAGE Publications, Inc.

Cassirer, Ernst. 1946. *The Myth of the State.* New Haven: Yale university Press.

Charap, Samuel. 2015. "The Ghost of Hybrid War." *Survival* 57 (6): 51-58.

Cilluffo, Frank J., and Joseph R. Clark. 2012. "Thinking About Strategic Hybrid Threats—In Theory and in Practice." *Prism*, 46-63.

Cusumano, Eugenio, and Marian Corbe, . 2018. *A Civil-Military Response to Hybrid Threats.* Cham: Palgrave Mcmillan.

Giles, Keir. 2016. *Russia's 'New' Tools for Confronting the West Continuity and Innovation in Moscow's Exercise of Power.* Research Paper, The Royal Institute of International Affairs, Chatham House. https://www.chathamhouse.org/sites/default/files/publications/2016-03-russia-new-tools-giles.pdf.

ონისტული მიზნების მისაღწევად ჰიბრიდული სტრატეგიის გამოყენება (Lanoszka 2016).

Globe, Paul A. 2009. "Defining Victory and Defeat: The Information War Between Russia and Georgia." In *The Guns of August 2008: Russia's War in Georgia*, edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr, 181-195. Armonk, New York: M. E. Sharpe, Inc.

Horkheimer, Max, and Theodor W. Adorno. 1972. *Dialectic of Enlightenment.* Translated by John Cumming. New York: Continuum.

2009. *The Russian View.* Vol. II, in *Report: Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia*, by IIFFM, 188-190. https://web.archive.org/web/20091007030130/http://www.ceiig.ch/pdf/IIFFMCG_Volume_II.pdf (29.01.2019)

Lanoszka, Alexander. 2016. "Russian hybrid warfare and extended deterrence in eastern Europe." *International Affairs*, 175–195. http://www.alexlanoszka.com/LanoszkaIAHybrid.pdf (29.01.2019)

Layton, Susan. 1994. *Russian Literature and Empire: Conquest of the Caucasus from Pushkin to Tolstoy.* Cambridge: Cambridge University Press.

Lieven, Dominic. 2001. *Empire: The Russian Empire and Its Rivals.* New Haven and London: Yale University Press.

Mannheim, Karl. 1936. *Ideology and Utopia: An Introduction to the Sociology of Knowledge.* Translated by Louis Wirth and Edward A. Shils. London: Routledge and Kegan Paul Ltd.

Mansoor, Peter R. 2012. "Introduction: Hybrid Warfare in History." In *Hybrid Warfare: Fighting Complex Opponents from the Ancient World to the Present*, edited by Murray Williamson and Peter R. Mansoor, 1-18. Cambridge: Cambridge University Press.

McCuen, John J. 2008. "Hybrid Wars." *Military Review*, March–April: 107-113.

Missiroli, Antonio, Andersson, Jan Joel, Gaub Florence et al. 2016. *Strategic communications – East and South.* Report Nº 30, Paris: EU Institute for Security Studies. https://www.iss.europa.eu/sites/default/files/EUISSFiles/Report_30.pdf.

NATO. 2010. *BI-SC Input to a New NATO Capstone Concept for the Military Contribution to Countering Hybrid Threats.* http://www.act.nato.int/images/stories/events/2010/20100826_bi-sc_cht.pdf (30.01.2019)

NATO, Review. 2014. "Hybrid War – Hybrid Response?" *NATO Review.* https://www.nato.int/docu/review/2014/russia-ukraine-nato-crisis/russia-ukraine-crisis-war/en/index.htm (23.01.2019)

Nemeth, William J. 2002. "Future war and Chechnya : a case for hybrid warfare." Thesis, Naval Postgraduate School, Monterey, California. http://hdl.handle.net/10945/5865 (23.01.2019)

Ram, Harsha. 2006. *The Imperial Sublime: A Russian Poetics of Empire.* Madison: The University of Wisconsin Press.

Rinelli, Sebastian, and Isabelle Duyvesteyn. 2018. "The Missing Link: Civil-Military Cooperation and Hybrid Wars." In *A Civil-Military Response to Hybrid Threats*, edited by Eugenio Cusumano and Marian Corbe, 17-40. Cham: Palgrave Macmillan.

Rácz, András. 2015. *Russia's Hybrid War in Ukraine: Breaking the Enemy's Ability to Resist.* Report #43, Helsinki: The Finnish Institute of International Affairs.

Sonovets, polina and bettina Renz. 2015. "Russia's 2014 Military Doctrine and beyond: threat perceptions, capabilities and ambitions." *NATO Defense College, Rome* (117). http://www.ndc.nato.int/download/downloads.php?icode=457 (12.01.2019)

Stoltenberg, Jan. 2015. "Keynote speech by NATO Secretary General Jens Stoltenberg at the opening of the NATO Transformation Seminar." March 25. https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_118435.htm (16.01.2019)

Tudor, Henry. 1972. *Political Myth.* London: Macmillan Education.

Von Hendy, Andrew. 2001. *The Modern Construction of Myth.* Bloomington & Inianapolis: Indiana University Press.

Wertsch, James V. 2004. *Voices of Collective Remembering.* Cambridge: Cambridge University Press.

2014. «Военная доктрина Российской Федерации.» 26 Декабря. http://static.kremlin.ru/media/events/files/41d527556bec8deb3530.pdf (16.01.2019)

Гареев, Махмут Ахметович. 1995. *Если завтра война?..: Что изменится в характере вооруж. борьбы в ближайшие 20-25 лет.* Москва: ВлаДар.

Герасимов, Валерий. 2013. «Ценность Науки В Предвидении: Новые Вызовы Требуют Переосмыслить Формы И Способы Ведения Боевых Действий.» *Военно-Промышленный Курьер.* 26 февраля. https://www.vpk-news.ru/articles/14632 (29.01.2019)

Дикий, Евгений. 2016. «Гибридная Война Росии: Опыт Украины Для Стран Балтии.» Литовская военная академия им. генерала Йонаса Жямайтиса, Вильнюс.

Дугин, Александр. 2009. *Грузия – это маленькая империя.* 28 Сентября. http://evrazia.org/news/9951 (29.01.2019)

Иссерсон, Георгий Самойлович. 1940. *Новые формы борьбы.* Москва: Военгиз. https://royallib.com/get/epub/isserson_georgiy/novie_formi_borbi.zip (12.01.2019)

Магда, Евгений. 2015. *Гибридная Война: Выжить и Победить.* Харьков: Vivat Publishing.

Слипченко, Владимир Иванович. 1999. «Война Будущего: Прогностический Анализ.» *Электронная библиотека Bookscafe.Net.* http://bookscafe.net/read/slipchenko_vladimir-voyna_buduschego_prognosticheskiy_analiz-153994.html#p32 (12.01.2019)

—. 2002. *Войны Шестого Поколения: Оружие и Военное Искусство Будущего.* Москва: Вече.

Цитриняк, Григорий. 1989. «Народный депутат СССР академик А. Д. Сахаров: Актуальное Интервью.» *Огонёк* (Правда) (31): 26-29.

Чекинов, Сергей Геннадьевич, и Сергей Алексеевич Богданов. 2013. «О характере и содержаний войны нового поколения.» *Военная Мысль* (10): 13-24.

Чернышов, Андрей. 2014. *Империя постфактум: Русский мир.* Апрель. http://tztver.ru/articles/detail/524 (05.02.2019)

ქართული პერიოდიკა:

24 საათი. 2004. „ნერვების გამოცდა: გამოუცხადებელი ომი, რომლისკენაც ასე ისწრაფვიან სეპარატისტები და მათი რუსი მფარველები და რომელიც ასე არ უნდა საქართველოს." 13 აგვისტო, #191: A1-A3.

დე ვაალი, ტომ. 2011. „აგვისტოს ომი ისეთივე მითოლოგიზებულია, როგორც – ტროას ომი." *რეზონანსი,* #252: 3-5.

თარგამაძე, ნინო. 2000. „რუსეთსა და საქართველოს შორის გამოუცხადებელი ომი გრძელდება." *რეზონანსი,* 16 დეკემბერი, #343: 3.

მებრძოლი საქართველო. 1995. იანვარი.

პრესსამსახური, პარლამენტის. 1998. „პარლამენტის თავმჯდომარე: გამოუცხადებელი ომი – პროვოკაციის გაგრძელება." *საქართველოს რესპუბლიკა,* 4 ივნისი, 136 გამ.: 1-2.

საქართველოს რესპუბლიკა. 1993. „გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ." 19 მარტი, #56: 1.

ტაბულა. 2013. *ივანიშვილი: ვერ ვიჯერებ, რომ რუსეთის სტრატეგია არის მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების დაპყრობა და ოკუპაცია.* 4 ივნისი. http://tbl.ge/r9t (23.01.2019)

ჭალელი, გია. 1992. „კიტოვანმა განაცხადა: "რუსეთმა გამოგვიცხადა გამოუცხადებელი ომი"." *რეზონანსი,* 8 დეკემბერი, #14: 1.